



~~K 3962~~
19



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ი. ჯიშკარიანი



ხეთების კროზლემა

კავკასიური ენების საფშველჴე

(მთავარ კონსპექტი)

3041

ცეილისი

1933 წ.

გაზ. „კომუნისტური განათლება“-ს გამომცემლობა

499.993.1 + 499.96

ბროდეტარებო ყველა ქვეყნისა, შერთდეთ!

ი. ჯიშკარიანი

განმარტული

401
X-56

1010


5726/30

ხეთების კრებლემა

კავკასიური ენების საფუძველზე

K 3962
192

(მთავარი კონსპექტი)



ცეილისი

1933 წ.

გაზ. „კომუნისციური განათლება“-ს გამომცემლობა

შთავლიტი № 12.

შეკვ. № 639.

სახკომსსაბჭოს სტამბა.

* * *

ბ. ჯიშკარიანის შრომა „ხეთური პრობლემა კავკასიის ენების ბაზაზე“, რთვობაზე დასაყრდენად ჩანს, „ბირთვითი ძრავის ტექნიკის მისაღწევად შედგენილ მთელ კონსპექტს“ წარმოადგენს.

სავითავე, რასაკვირველია, ისევე არ არის თუ რა ენაზე იმსჯელება და სწავლება სეთური პრობლემა.

სეთურის პრობლემა სომ სრულიად დაკავშირებული არაა თავის „ენათმეცნიერების“ გაცნობის მხრივ თვით სეთური ენის საზღვრებთან!

უბიძგელებად ყველასა ესაა ენის ზოგადი მოძღვრების კუთვნილი პრობლემა, მაგრამ ასეთი ზოგადი თეორიული მოძღვრება ფართოა არაა, სადაც აქამდის მაცოდნის ინტერესებისთვის და რთვობაზე აქამდის არ არსებობდა, არ არსებობს ასევე.

ამავე დროს კი სეთური პრობლემა იმდენად გამოწვეულია მასალის სიუხვით და კვლევითი ინტერესის სხვადასხვა ენიდან ბეჭელების მათი სილუაი ყოფნის და ფორმის და აშკარად ყოფილიყო დაკავშირების მათი თვალსაჩინო გაცნობით სალსთა უგვიანეს ინტერესის ინტერესულად წერილობით უკეთესად დამოწმებულ კარგი მცდელობა, ურბოლ, ე. წ. ინტერესების, — რთვ დიდი ხანია დაიბადა ამრი, სავსებით სწორი, მათ შორის იდეალთვითი კავშირის შესახებაც.

აქედან — მთელი რიგი ცდებისა, ე. წ. სეთური წარწერების თუ მათი ენის დამოუკიდებლობის წარმოებულ ენის

ცოფულგვარი ზოგადი მიმღვრების საფუძვლურის გარეშე, შილთს და შილთს ფრთხილი შიურქეაზიული მიმღვრების შიფრადელი თვალსუდვის საფუძვლურე, და, ცსადია, მისი ნობრების ინდივიდუალური დაბრუვითაც.

ამ შირთბეში ჯიშვარისანის შირთმა საინცურესთა ზედმეცად იმის დასასამრეთებლად, თუ რა ემაბთემა ენის ადტრულურ თურბრეიულ ამტანენს, რთცა შაფონამს და კანონმდებლთმს ინდურბრებისციაკ, ადამდე უკავია უკუე რამტყალიმბრული მარბსისტრულ-ლენინური ლინტვისციაკის, ე. შ. იატრეური ენათმცოდნეობის თურბრის ადგილი და დამბრლუმას შირთმადგენს ენის ასალი მიმღვრების ზეზბე უკუე მკუთრად დასასკლის ნობრალური გადარეცვისათვის.

ჯიშვარისანის შირთმაში, რთმელიც სრულიად საფუძვლიანად მიმართავს კავკასიის ენებს, ნამდვილად—კავკასიის იატრეური სისტრების ენებს, სკურბი ენათმცოდნეობის შირთბეების გაშედეების მიზნით, შთული რიგი მატრბიალურად სწორი შედარებების, უდრბ მეტი ყურბადლუმ ადეს მიდტრული იდუთლბიურბ მიმბრცეს, ვიდრე ამას ეგრბების შიურქეაზიული ლინტვისტრბი სრადიან და ზოგჯერ სწორი მისასზრბენიცა გამბთებელი.

ეს შირთმა „სკურბი შირთბემა კავკასიის ენების შაზაზე“, უდრბ სწორი იდებმდც—„კავკასიის ენების გაშედებით“, შეიბლუმ დაიბრედლს იმ გაბრბების ანგარამის გაშევის გამბც, რბმ ავტობრს უზარბაზარი შეშამბც გაუქეკია, რბმლიდანც ეს შირთმა მეცად შეკუბშული გამბცნბმი რიგის თსრბმას მსბლბდ.

6. მარტი

26.12.32 წ.

ტფილისი.

* * *

„Хетская проблема на базе кавказских языков“ И. Джишкарини, как то видно из подзаголовка, представляет „краткий конспект, составленный по основному грузинскому тексту“. Вопрос, конечно, при хетской проблеме не в том, на каком языке обсуждена и предлагается разрешить её. Да и хетская проблема отнюдь не связана в разрешении своей „загадочности“ пределами самого хетского языка. Это прежде всего проблема общего учения об языке, однако такого общего теоретического учения в Европе, где доселе господствует индоевропейстика, как не существовало, так и не существует.

Между тем хетская проблема настолько выявилась богатством материалов и их наглядным переплетом в истории человечества в разноязычных памятниках их зримой формы и техники и явной формальной увязки с окружением письменно исторически лучше засвидетельствованных в позднейшей истории народов, в частности т. н. индоевропейцев, что возникла давно мысль, совершенно правильная и об идеологической связи с ними. Отсюда целый ряд опытов дешифровки т. н. хетских надписей и их языка без основ ка-

кого бы то ни было общего учения об языке, в конце концов на основе кругозором ограниченного европейского буржуазного учения, и разумеется, индивидуалистическими нарушениями и его норм.

В этой обстановке работа Джишкарини представляет интерес для нелишней характеристики того, что происходит с актуальными теоретическими задачами по языку, когда индоевропейстика царит и законодательствует, занимая доселе место уже сложившейся марксистско-ленинской лингвистики, т. н. яфетической языковедной теории, и являясь помехой нормального разрешения, уже четко намеченного, в путях нового учения об языке.

В работе Джишкарини, вполне основательно обращающегося к кавказским языкам, собственно к языкам яфетической системы Кавказа, для освещения хетской языковедной проблемы есть ряд правильных материально сопоставлений, внимание уделено больше, чем это делается у европейских буржуазных лингвистов идеологическому и попадают порой правильные соображения, и работу эту „Хетская проблема на базе кавказских языков“, правильнее было сказать „в освещении кавказских языков“, можно было бы напечатать во внимание и к тому обстоятельству, что автор произвел громадный труд, из которого данная работа лишь весьма сжатое осведомительного порядка изложение.

Н. Марр.

26. 12. 32.

Тифлис.

ხეთაგის პროგლაშა

კავკასიური ენების საფუძველზე.

ნაწილი I

შავი ზღვის სამხრეთით, ზღვის ნაპირიდან ფეხით ათი დღის სამგზავრო მანძილზე, ქალაქ ანგორიდან კი აღმოსავლეთით, ხუთი დღის მანძილზე, მდინარე დალისის¹⁾ მარჯვენა მხარეზე, მთაგრეხილიდან არასრულად გამოშლულად, საკმარისად მაღალი²⁾ და დიდი ბორცვი ალმართული.

ამ ბორცვზე კი ძველად, როგორც ნანგრევებიდანა სჩანს, უზარ-მაზარი ციხე-ქალაქი ყოფილა გაშენებული. აი, სწორედ აქ, 1906 წ., ზაფხულში, მსოფლიო ფარგალში ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა, გუგო ვინკლერმა, მაკრიდ-ბეისთან³⁾ ერთად, ერთერთ დაფერდებაზე, ნამსხვრევებში, აუარებელი გამომწვარი თიხის ფირფიტები, ლურსმული წარწერებით დაფარული, აღმოაჩინა.

ზოგიერთი ფირფიტი ბაბილონურ ენაზე დაწერილი აღმოჩნდა, რამაც ვინკლერს საშუალება მისცა იქვე დარ-

1) დღევანდელი კიზილ-ერმაკი.

2) 1128 მეტრია სიმაღლით, ამ ბორცვის ძირში დღეს პატარა უმნიშვნელო სოფელია, თურქულად „ბოგაზ-კეიად“ წოდებული—
ქ. ი. узловое селение.

3) თურქეთის მუზეუმის წარმომადგენელი მეცნიერი.

წმუნებულიყო, რომ აქ, ამ ბორცვზე, ხეტების სატახტო ქალაქი—**ხატტი**—ყოფილა და აქ აღმოჩენილი თიხის ფირფიტები ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე მე XV—XIII საუკუნეების სახელმწიფო არქივია.

გათხრის დაწყებიდან, ერთი თვის შემდეგ, აღმოჩნდა ეგვიპტის ფარაონსა, რამზეს მეორესა, და ხეთების მეფესა, ხატუშილ III-სა შორის დადებული ზავის პირი, მშვენიერ ბაბილონურ ენაზე დაწერილი.

ამგვარივე ზავის პირი, იეროგლიფებით, ე. ი. ხატულა ანბანით, დაწერილი, ეგვიპტში წინათ იყო ნაპოენი და მეცნიერების მიერ შედმიწვევით შესწავლილი ¹⁾.

სწორედ ამ ზავის პირის შესწავლისას, გ. ვინკლერმა, კიდეც 1888 წ., გამოთქვა ის აზრი, რომ ხატათში უნდა არსებობდეს ხეთური რედაქცია, რაც 1906 წ. არქეოლოგიურმა გათხრამ ასე ბრწყინვალედ დაადასტურა.

აქ აღმოჩენილი რედაქციიდან გამოიჩვენა, რომ არსებობს ზავის მესამე პირი, ვერცხლის ფირფიტებზე ხეთური იეროგლიფებით დაწერილი, რომელიც დღემდე აღმოჩენილი არ არის.

უკვე აღმოჩენილ არქივში, მხოლოდ ხეთურ ენაზე დაწერილ ფირფიტათა რიცხვი, 20.000 ცალს აღემატება; ამ რიცხვში არ შედის ბაბილონურ ენაზე დაწერილი ფირფიტები ²⁾.

1) Б. Тураев, ч. I. стр. 328.

2) იხ. პროფ. Бузескуль, стр. 209.

მთელი ეს არქივი იმ წელსვე გადატანილ იქნა გერმანეთში და მას აქეთ ის იქ თანდათანობით მუშავდება და საყოველთაოდ ქვეყნდება¹.

ამ არქივის საფუძველზე, ხეთების პრობლემა ფართოდ დაისვა და გაიშალა, მაგრამ ის დღემდე ვერ პოულობს თავის საბოლოო გადაწყვეტას, მიუხედავად იმისა, რომ მკვლევართა განკარგულებაში დიდი ფაქტიური მასალა დაგროვდა.

გამოირკვა, რომ ბოგაზკეის ლურსმული ტექსტები „ხეთელების მეფეთა სახელმწიფო არხივია“ და ეს ტექსტები რვა (8) სხვადასხვა ენაზეა მოცემული:

1. სახელმწიფო-ოფიციალური, ხეთური ენა, რომელზედაც დაწერილია დიდი უმრავლესობა ტექსტებისა და რომლის ირგვლივ გამართულია, ჯერ კიდევ დაუსრულებელი, კამათი.

2. პროტო-ხეთური ანუ პირვანდელი—ძველი ხეთური, რომელზედაც მოცემულია საკმარისად მრავალი ტექსტები: სარწმუნოებრივი და სხვა.

3. ხარული ენა—ამ ენაზე—საკმარისი მასალაა მოცემული. (მას დღეს აიგივებენ შიტანურთან).

4. ბალაური ენა, რომელიც განსაკუთრებით დღესასწაულების აღწერებშია გამოყენებული სიტყვის შემდეგსა საქცევში: „კერპთ-მსახური ქალი, ე, ი. ქურუმიხე ბალაურად ამბობს შელოცვასა პურსა და ღვინოსა ზედა და სხვა ამგვარზე“.

„სამწუხაროდ, რამდენადაც ვიცით, დღემდე არ არის აღმოჩენილი მისი სარწმუნო ნაშთები და ამიტომ, როგორც მისი აგებულების ხასიათზე, ისე გავრცელების

¹) იქვე, სტრ. 208.

ადგილებზე გარკვეული რისამე თქმა ძნელიაო“, ამბობს ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერი პროფ. ალექსანდრე წერეთელი. (იხ. გვ. ბი 5 და 6, „ხეთელები და მათი სამყარო“, ტფილისი, 1931 წ.).

5. ლუფური ენა, რომელიც გვევლინება სახელმწიფო-ხეთური ენის დიალექტად, ე. ი. ერთერთ სახედ.

6. პრა-ინდიური ენა—მცირედ არის მოცემული.

7. აკადური ენა—არის ენა ბაბილონური კულტურისა და მისი საერთაშორისო გავლენისა და, ბოლოს,

8. სუმერული—ენა უუძველესი სარწმუნოებისა.

მიუხედავად ამგვარი ფაქტიური—თვალსაჩინო მასალისა, თანამედროვე მეცნიერებამ ამ პრობლემის შესახებ შემდეგი, არალწური, ზოგადი დებულებები წამოაყენა:

1. ხეთები ეკუთვნია „მცირე აზიის ეროვნების ძირეულ სვეტს“. ამ დებულების მთავარი დამცველი იყო ედ. მეიერი... (იხ. პროფ. ბუზესკული, გვერდი 205, ნაწილი I, „Восток“, 1923 წ. პეტერბურგი).

ეს აზრი პროფ. ედ. მეიერმა 1931 წელს შესცვალა „ინდო-ევროპეიზმისაკენ“ გადახრით. იხ. ალ—დრე წერეთელი: „ხეთელები და მათი სამყარო“, ტფილისი, 1931 წ., გვ. ბი: 11 და 12.

2. ხეთები არ არიან წმინდა „მცირე აზიელი“, არამედ წარმოადგენენ ინდო-ევროპეიდებთან ნარევ ხალხს. (ამ აზრის მთავარი დამცველი ვ. ოტტოა. იხ იქვე, პროფ. ბუზესკული).

3) ხეთების ენა წარმოადგენელია ძველი კავკასიური ენებისა, მცირეოდენი ინდო-ევროპეული და-ნართით. ამის მთავარი დამცველი ე. ვეიდნერია.

4) ხეთური ენა წარმოადგენს ინდო-ევროპიულ ენას და ის ყველაზე უფრო ლათინურ ენას უახლოვდება.

ეს აზრი ითვლება მეცნიერების უკანასკნელ სიტყვად, რომლის დამცველად ფრიდრიხ ღროზნი გვევლინება. იხ. იქვე Бузескуль, стр. 205.

5. აკად. მარტი ამ ენებს მოაკუთვნებს—აფეტურს, ე. ი. კავკასიურ ენებს“,—სწერს ალ. წერეთელი, იხ. მისი: „ხეთელები და მათი სამყარო“, გვ. 6, 1931 წ.

6. „ხეთური ენობრივი ნიშნები გვხვდება სომხურში, უკვე ინდო-ევროპიულში, ზოგიერთი ვანური ელემენტების შემონახვით“, ნ. მარტი და ლ. ზ. მსერიანცი.

იხ. проф. Б. Тураев, ч. I, стр. 73, „История Востока“, 1913 г. С.-Петербург.

7. „ხეთურ ენას მეცნიერი იენსენი სომხურ ენადა სთვლის“.

იხ: Хетты и Хеттская культура“, стр. 34 и 96, 1924 г.

აქ თუ შევჩერდებით, როგორც ამას თანამედროვე მეცნიერება სჩადის, მაშინ ჩვენთვის ცხადია, რომ საკითხი, გამოუვალ ჩიხში მოქცეული, ჩიხშივე დარჩება, მაგრამ, თუ ამ ფაქტიური მასალის საფუძველზე ჩვენ აზრთა ხვევას, ე. ი. შემოქმედებითი აზროვნობას—არ შევაჩერებთ, მაშინ ჩვენ ამ ჩიხიდან გამოსავალს სულ ადვილად ვიპოვიან:

1) უდავო ფაქტია, რომ ამ მეცნიერთა შორის პირ-წმინდად, ე. ი. აბსოლუტურად, არც ერთი არ სცდება, ამის გარანტია ამ მეცნიერთა მომზადებასა და მაღალ განვითარებაშია. მაშასადამე, მოკლედ, ხეთური სახელმწიფო ენა ძალზე ნარევი ენა ყოფილა...

2) **თუ ენა ნარევი**ა, მაშინ უნდა იყოს ენა დამპყრობელის და დაპყრობილისა, ე. ი. მომრევისა და მორეულისა, ძლეულისა.

3) **ცხადია, ამ შემთხვევაში დამპყრობელი ხეთე-ბია**, რადგან ისინი XXVIII საუკუნიდან ქრ-ულ წელთა-აღრიცხვამდე გვევლინებიან ქვეყნისა და ხალხისათვის სახელწოდების მიმცემად და სახელმწიფოს ხელმძღვანე-ლად მე-12 საუკუნემდე, ქრ-ულ წელთაღრ-მდე, როდესაც ისინი განადგურებულნი იყვნენ მუსკებისა—„მუმ-კაია“-ებისა მიერ.

4) **წინამასალის გათვალისწინებით ვამბობთ**: ხე-თები, დაპყრობისას ანუ სახელმწიფოს შექმნისას, ქალა-ქებსა, დაბებსა, ციხეებსა, მდინარეებსა, დედოფლებსა და მეფეებსა და სხვა ამგვარსა ხეთურ ენაზე სახელწოდებებსა მიაკუთვნებდენ და თუ ხეთური ენა, დროთა ვითარებაში, ისე შეიცვალა, რომ მის შესახებ ერთი გარკვეული აზრის გამომუშავება შეუძლებელი შეიქნა, მაშინ, ცოტა ჩაფიქრებისა შემდეგ, ვამბობთ:

5) **ზემოხსენებული სახელები, ხომ მაინც, უცვლელად შეინახავდა თავსა.**

6) **ამ დასკვნას თუ განვიხილავთ იმ მოსაზრებას-თან დაკავშირებით**, რომ ხეთების სახელმწიფოს ხალხთა პირწმინდად მოსპობაზე ლაპარაკი მეტია, მაშინ ვიტყვით, რომ ხეთები, დამარცხების შემდეგ, უკან ხევით, ბრძოლით, აღმოსავლეთისაკენ დაიხვედნ და კავკასიის მთებს შეაფარებდენ თავსა, რადგან ეს უკანასკნელი შეუვალე ციხეა დანარცხებულთათვის.

თუ ჩვენი მოსაზრება, საერთოდ, ხალხია, მაშინ ჩვენთვის ცხადია შემდეგი სამუშაო ჰიპოტეზაც:

ხეთების არქივის ტექსტებში მოთავსებული საკუთარი სახელების შინაარსის გამომჟღავნება კავკასიის ენების საფუძველზე უნდა მოხდეს და მოხდა კიდეც!

საკუთარი სახელების შინაარსის ამოცნობაში, კავკასიის ენების საფუძველზე, ჩვენ ერთხელ, 1924 წ. გამარჯვება უკვე ვიგემეთ:

აღმოჩნდა, რომ სიტყვა

1. აზია—აფხაზური „ასსუ“-დან არის წარმომდგარი, ან ავა¹ რულ „ჰაზო“-დან, რაც სათანადო ენაზე „თოვლსა“ ნიშნავს.

2) კავკასია—კი აფხაზური „შკეკვა“- „ასსუ“-დან, ან ავარულ „კკა--ჰაზო“-დან არის წარმოშობილი, რაც შესაბამ ენაზე „თეთრ—თოვლოვანსა“ ნიშნავს¹).

ამის გათვალისწინებით, კვლევა-ძიების გამოსავალ მასალად ჩვენ მივიჩნით იმგვარი მასალა, რომელიც ყოველწრივ ეჭვშეუვალ სინამდვილედ გვევლინება.

ამგვარია, ჩვენის გაგებით, ხეობსა და ეგვიპტელებს შორის დადებული ზავის პირის ერთი წინა გვერდზე დასმული მეფის ბეჭედი, მეორე კი დედოფლისა, მეორე გვერდზე მოცემული.

ეს უკანასკნელი შემდეგს ტექსტსა შეიცავს:

„ბეჭედი მზისა ღვთაებისა, ქალაქისა არინნასი, მეუფისა ქვეყანისა“.

„ბეჭედი პუტუხიპისა, დედოფლისა ქვეყანისა ხეთებისა, ასულისა ქვეყანისა კილზავადანი-სა“²).

1) იხ. „აზიისა და კავკასიის სახელწოდებათა წარმოშობის საკითხისათვის“ ტფილისი, 1924 წ. ი. ჯიშკარიანი.

2) „Печать бога солнца, города Аринна, владыки земли.“

Печать Путухипы, царицы земли Хеттов... см. стр. 12, „Хетты и Хеттская культура“, 1924 г.,

აქ მოცემული ტექსტიდან ჩვენ პირველ ყოვლისა შევჩერდეთ ქალაქის სახელზე: „არინა“-ზე.

ამგვარზეა ამ სახელის დამწერლობა ხეთების კანონებშიაც.

იხ. გვ. 133, მუხლი 51. X. и X. культура.

ცხადია, ეს იმის მომასწავებელია, რომ „არინა“ სწორად არის ამოკითხული და მოცემული.

ამის გათვალისწინებით, შევუდგეთ ამ სახელის დაშლით შესწავლას და ამისთვის გამოვიყენოთ კავკასიური ენები, როგორც ერთი მთლიანი განუყვეთელი რაობა—საშუალება.

მართალია, კავკასიური ენების ლექსიკონები ძალიან სუსტად და მოკლედ არის დამუშავებული, ზოგიერთებისა კი სრულიადაც არ მოგვეპოვება, მაგრამ მაინც ესცადოთ, რადგან ჩვენ დარწმუნებულნი ვართ—თუ მცირე აზიელებმა თავი კავკასიას შეაფარა, მაშინ ის დღეს ერთერთ ძირეულ, სოციალურად გაყინულ, ერად უნდა მოგვევლინოს კავკასიის წიაღსა შინა.

და მართლაც, სიტყვა

1. ა—რინ—ნა

А—рин—на

დაღესტნის ერთერთ ენაზე, სახელდობრ ავარულზე, ჰპოულობს სრულიად ცხად სარწმუნოებრივ შინაარს:

ა—აჲ—მითითებითი ნაცვალსახელია... Аварский яз., П. К. Услара, стр. 35.

რიჰ—მამაკაცის სქესობრივი ნიშნეულობაა—ფალ-ლოს'ია, იქვე გვ. 175.

ნა—ფუტკარია და, მაშასადამე, ქალური სქესობრივი ნიშნეულობაა—კტეის'ია¹⁾ იქვე, გვერდი 135.

იხ. „Хеттеи“, проф. Сайса, 1902 г. пчела=жрица

მამაკაცის სქესობრივ ნიშნეულობას, როგორც ვიცით, მეცნიერება მორცხვად სიტყვა „ფალოსით“ აღნიშნავს და ამასთან თვით სიტყვა ფალოსსა „ბერძნულ“ სიტყვათა სთელის! ასე რომ „ა—რინ—ნა“-სი პირვანდელი სახე შემდეგნაირად გვევლინება:

ა—რიჰ—ნა.

ახლა, თუ გავუწევთ ანგარიშს იმ მოვლენას, რომელსაც ენათმეცნიერება იცნობს რეგრესიულ ახიმილაციად; მაშინ „ა—რიჰ—ნა“ საბოლოოდ შემდეგს სახეს მიიღებს: ა—რინ—ნა, ე. ი. აჰ—ფალოსის—ფუტკარი.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ ადამიანი, თავისი სოციალური ცხოვრების განვითარების პირველ საფეხურებზევე, ღრმად ჩაუფიქრდა იმ საკითხს, თუ ვინაა მისი გამჩენი და რადგან ამ მიმართულებით ფიქრმა ის „ფალოსსა“ და კტეისტან¹⁾ მიიყვანა, მან მამა-კაცის და დედა-კაცის სქესობრივი ნიშნეულებანი ღვთაებად მიიჩნია და მათ ნამდვილსა ან სიმბოლიურ განსახიერებას მრავალი ათასის წლის მანძილზე თაყვანსა სცემდა!

ამგვარი ნაშთი, ახალქალაქიდან სამხრეთით, ოთხი კილომეტრის მანძილზე, სოფელ მურჯახეთში, რომელშიაც ქართველი ქრისტიანები და მუსულმანები დღესაც სცხოვრობენ, მეცნიერებამ დიდი ხანია რაც რომ აღნიშნა: „ეკლესიიდან დასავლეთით, სასაფლაოზე აღმართულია მთლიანი ოთხარშინიანი ქვა, რომელზედაც გამოკვეთილია მამაკაცის სქესობრივი ნიშნეულობა, ე. ი. ფალოსი. მას ადგილობრივი ქალები ყოველდღიურად

¹⁾ ამ „ბერძნული“ სიტყვით „კტეის“-ით მეცნიერება ქალურ სქესობრივ ნიშნეულობასა აღნიშნავს.

საკმეველსა უკმევენ, სანთელსა უნთებენ და ზეთსა სცხებენ“¹⁾...

რაგვარი თვალსაჩინოებით არის მოცემული სარწმუნოების განვითარების წინა საფეხური: **ფალოსის კერპი... ეკლესია!**

აქ, ახლა, გავიხსენოთ, რომ პროფ. საისმა წასულ საუკუნის მე-60 წლებში გამოსთქვა ის აზრი, რომ ამადრები სარწმუნოებრივი ყულტის, მცირე აზიის მთავარი ქალღმერთისა: „მა“-სი მოსამსახურე ქალებიაო და რომ ამ ქალებს ფუტკარსა უწოდებდნენო, მთავარსა კი მათ შორის „ფუტკარის დედუა“-საო²⁾.

ამის გათვალისწინებით **ა—რინ—ნა**‘სი საბოლოო შინაარსი ამგვარია:

აა—ფალოსის—ქურუმისხე, ე. ი. შეწირული ქალი—ქალწული=Вот—фалла—жрица!

ეს ხომ უდავო და ეჭვშეუვალი სინამდვილეა და რადგან ეს ასეა, ამის გამო, მთელი ის გადმოცემა ძველი ბერძნებისა, რომელიც ძველადვე სტრაბონს დაუჯერებელ ზღაპრად ევლინებოდა, დღეს, ამ სიტყვის აგებულობისა და მნიშვნელობის ამოცნობისა შემდეგ, დიდად საყურადღებო და წინსვლისათვის გამოსაყენებელ მასალად უნდა იქნეს მიჩნეული, რადგან ის ჩვენ გვაძლევს საშუალებას, სინამდვილის საფუძველზე, მრავალი დღემდე დაუძლეველი საკითხები, ყველასათვის მისაღებად გავაშუქოთ.

¹⁾ Материалы по Археологии Кавказа, выпуск XII, стр. 28, 1902 г.

²⁾ იხ. История забытого царства, проф. Саиса, гл. 71, 1902 წ.

ა—რინ—ნასი ფალურ შინაარს საუცხოოდ უდგება და ეგუება შემდეგი ენობრივი და იდეოლოგიური ფაქტები:

1. ქართული „რინიანი“, თავის თავად ცხადია ავარულ „რიპ—სა“ ენათესავება და მაშასადამე ძველად ქართულშიაც „რიპ—სა“ ჰქონებია ადგილი ფალური მნიშვნელობით: „რიპ—რაპი წაუხდაო“, დღესაც ამბობენ ჩვენში!

2. ამგვარადვე ენათესავება ქართული „ერი“, რაც ჯარისკაცსა ნიშნავს, ჯარსა ნიშნავს.

3. რიკკხ—მამაცი, კჷურიულ (Лезгинский) ენაზე. იხილე П. Услар-ის ლექსიკონი, გვ. 617.

4. ღერი—ხურუშინანი, ჩაჩნურ ენაზე, იგივე П. Услар-ის ლექსიკონი, გვ. 173.

5. ღარი—რუსული ярый, ე. ი. ჟინმორეული, ვენებიანი, ხურუშინანი, ავარული „რიპ“—ის საფუძველზეა აგებული.


6. არინას, არიშკახ—კალმიკები (მონგოლური ტომი) ქალის საძაგებელ სიტყვადა ხმარობენ. იხ. Дал-ის ლექსიკონი.

7. ტფილისის მუზეუმებში, ამბობს ს. მაკალათია, თავის წერალში: „ფალური კულტი საქართველოში“, აუარებელი ფალოს-ის ქანდაკებანი ინახება, რომელთა უმრავლესობა დაღესტანიდანაა (იხ. „მიმომხილველი“, წ. 1924, წიგნი I, გვ. 126).

8. ავარლების სიმღერები, უმეტეს შემთხვევაში, სათაკილო, უხამსი ხასიათისანი არიანო, ამბობს П. Услარ-ი.

9. აქ უკვე დროა გავიხსენოთ, რომ აღმოსავლეთ თურქესტანში, ე. ი. თურქთა ქვეყანაში, ილაჟურ რააონ-

161602
52262
C3962



ში, ქ. კულჯასი მახლობლად, სცხოვრობს ხალხი, რომლის ენაზე სიტყვა

რინ—კაცს ნიშნავს; ცხადია ეს სიტყვა ძველად ფალსაც ნიშნავდა, დაუმატებთ ჩვენ.

ამ ცნობას იძლევა შორეული აღმოსავლეთის დიდი მცოდნე პრ. А. Позднеев-ი. იხ. Энциклопедический словарь, статья о Китае.

10. ხირი—იმ ხალხის ენაზე, რომელიც თავის თავს ვერშიკსა უწოდებს, თავის ენას კი ვერშიკ-ვარ-სა, ნიშნავს მამაკაცებსა, მაშასადამე, პირვანდელი მისი მნიშვნელობა ფალოსი იქნებოდა, აქედან ცხადია, რომ ამ სიტყვაში ჩვენ ვამჩნევთ მარცვლების გადასმით, ავარული „რიჰ“ -ის, გამოყენებას: ხი—რ-ი=რი-ჰი და თუ ქართულში ავარული „რიჰ“—რიხი-ის სახით გვევლინება, ვერშიკების ხი—რი ქართულ „ა—ხირ—ებაშია“ გამოყენებული.

რუსულ ენაში კი ეს სიტყვა უცვლელად არის დამკვიდრებული: хер-хер-დღესაც ფალოსსა ნიშნავს!

ეს ყველაფერი საკითხისათვის დიდად საგულისხმო მასალაა, მით უფრო რომ ამ ხალხის ენაზე ქართულთან არის ამგვარი სიტყვიერი შეხვედრანიც:

„და“—ქალისადმი დაძახებითი მიმართვა!

ნანი—დედასა ნიშნავს.

ტან—ტანსა ნიშნავს და სხვა.

ეს ხალხი სცხოვრობს მცირე ჰამირის სამხრეთ დაფერდებაზე, დარკოტის უღელტეხილსა და დაბა იასინისა შორის, მდინარე დარკოტზე, რომელიც ინდის სათავის შენაკადია.

იხ. Записки Коллегии Востоковедов, II т. в. 2, 1927 г. Академия наук СССР, стр. 278, 292, 332, 387, 339.

11. ავარლები და ჩაჩნები ოსებსა ჰირიეი, ჰირიეისა ეძახიან, ცხადსა, ეს ფალური სახელია და კავკასიაში მოსვლამდე დასჩემდებოდათ მთის ოსებს.

ამგვარად, აზრთა დალაგების ბუნებრივ პროცესში ჩვენ მოვექცით იმ ქვეყანაში, რომელიც თავისი მოუსვენარი მწყემსური ტომებით: თურქულითა, მონგოლურითა და ტუნგუზურითა, დასახელებულ მიმდევრობით, აღმოსავლეთით აღწევდენ იაპონიის ზღვამდე; ჩრდილოეთით მდინარე ამურამდე და ბაჟკალის ტბამდე; სამხრეთით—ხუან-ხე-მდე, ე. ი. ყვეთელ მდინარემდე. დასავლეთით კი ეს მოსახლეობა ყოველთვის ეძებდა და კიდევ ჰპოულობდა დაუბრკოლებელ გამოსავალს მცირე აზიის დასავლეთ საზღვრებამდე: ცხადია, რომ ეს მოძრაეი მწყემსები, სამხრეთიდან ორგანიზაციაქმნილ ჩინელებით შეჩერებული, ჩრდილოეთით კი მონადირე ხალხთა მყოფე, ყოველგვარი კრიზისიდან თავის დასაღწევად დასავლეთს მიაშურებდენ და მართლაც, როგორც ვიცით ყველაზე უფრო ადრე თურქთა ტომები ამოძრავდენ და დასავლეთისაკენ იწყეს სვლა, დაახლოებით შემდეგი მიმდევრობით: კირგიზები, უფგურები, ყიფჩაკები, კარლუკები, თურქები—ოგუზები და თურქები—სელჯუკები.

ამ ორ უკანასკნელ ტომთა შეერთებამ უკვე მცირე აზიაში დღევანდელი ოსმანები მოგვცა.

თურქების ტომებს მოჰყვა და დასავლეთისაკენ ქმნა პირი მონგოლებმა, შედარებით ძალიან გვიან. ისინი მხოლოდ მე-XIII—საუკუნის დამდგომს, ქრისტიანულ წელთა-აღრიცხვის შემოღების შემდეგ, პირველად გამოჩნდენ სამარკანდის აღმოსავლეთის ღორიზონტზე და დაახლოებით, ტამერლანის სიკვდილთან ერთად, 1405 წელში, დაასრულეს თავისი მოკლე, მაგრამ ხმაური, ისტორია.

რაც შეეხება ტუნგუზებსა, დღევანდელ მანჯურელებს, იმათ თავისი მრავალსაუკუნიანი პოლიტიკური კიდილი ჩინელებთან დაასრულეს მით, რომ დაეუფლენ მთელს ჩინეთსა და გადაიქცნენ მის ბატონ-პატრონად.

ასე გვესახება ჩვენ შორეული აღმოსავლეთის შორეული წარსული.

იმ მასალის საფუძველზე, რომელიც ბუნებრივად სიტყვა „არინნასი“ ირგვლივ დაქუჩდა, ჩვენ შეგვიძლია შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1. ხეტების დედოფლის ბეჭედზე მოცემული სიტყვის საქცევი: „ქალაქი არინნა“, სწორი გაგებისათვის, თხოულობს შესწორებას: „ქალაქი არინნებისა“, ე. ი. ფალის კერპისათვის შეწირულ „ქალთა ქალაქი“ ან „ქალწულთა ქალაქი“.

2. ა—რინ—ნა უუძველესი კულტის ტერმინია, იმ დროს წარმოშობილი, როდესაც ადამიანი არსებულის წარმოშობის მიზეზად ფალ-სა სთვლიდა.

ცხადია, ამ იდეოლოგიის საფუძველი მწყემსური საფეხურის ეკონომიკაა.

3. ამ სიტყვის დაშლამ და შინაარსის ამოცნობამ ჩვენ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ „კავკასიური ენების ერთობილურად გამოყენება“ საშუალებასა გვაძლევს ადამიანის შორეული წარსულის განხილვა-გაშუქებისათვის.

4. მისაღებად მიმაჩნია იმის მტკიცებაც, რომ „არინნამ“ თავი შეინახა მცირე სომხეთში ჯერ ქალაქ „არანე“-ს სახით, შემდეგ კი, როდესაც ამ მიწაყალას ქურთები დაეუფლა, ეს სახელი „არანა“-და იქცა და ბოლოს,

5. არინა—უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე ავარლების ქალწულთა წინაპრად.

შენიშვნა.

არ იქნება უსაფუძვლო თუ ვიტყვით, რომ მეგრული სიტყვები: „რინა, რინი“, რაც შესაბამად მყოფობასა, არსებობასა ნიშნავს და ქართული სიტყვები: „არის, არხი“ ასოთი „რ“-ეთი ავარულ „რიჰ“-სა ენათესავენა.

მეგრულში, „ნა“ ყურადღების ღირსია სიტყვა „რი—ნა“-ში, რაც იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ მეგრელების გაგებით არსებობისათვის „ნა“-ც საჭიროა. „ნა“ ხომ მეგრულადაც ქალური სქესობრივი ნიშნეულობის მატარებელი უნდა იყოს!

არინნასთან დაკავშირებოთ ჩვენ უნდა განვიხილოთ, ქართულ საფუძველზე, სიტყვა ამაძონის შინაარსიც. ამ სიტყვის შინაარსში ეჭვი, წარსული საუკუნის მე-60 წლებში, იყო შეტანილი, მაგრამ დღემდე დარჩა ის გაგება, რომ „ა“ სიტყვა „ამაძონში“, „არასა“ ნიშნავს, „მაძოს“ კი ძუძუსა—ბერძნულად.

ასე რომ ამაძონი, თითქო, ამ გაგებით, უძუძოსა ნიშნავდეს. სინამდვილეში კი ამაძონი ქართული სიტყვაა, რადგან ქართული ენის მასალაზეა გამართული, სწორედ ისე, როგორც ა—რინ—ნა ავარულზეა:

ა—რინ—ნა

ა—მა—ძუ, როგორც უშუალოდა ვხედავთ, ერთნაირად არის აგებული შინაარსისა და ელემენტთა მიმდევრობის მხრივ, ე. ი.

ა=აჟ, მითითებითი ნაცვალსახელია.

რინ=მა, პირველი მარცვალია სიტყვა „მამა“-სი, მაშასადამე, ფალსაცა ნიშნავდა!

ნა=ძუ, ე. ი. ქალი, ქალური დასაბამი—სქესობრივი ნიშნეულობაა.

ამაძუების ქალაქებად, გ. კიპერტის ატლასის მიხედვით, შეიძლება მივიღოთ: ერთი, შავი ზღვის პირზე, ქალაქ სინოპის აღმოსავლეთით მდებარე „ამიზუს“, მეორე კი პირველიდან სამხრეთით, მდინარე „ირის“-ზე მდებარე ქალაქი, ამაზგა-დ წოდებული.

დღევანდელ რუკებზე ვპოულობთ მხოლოდ უკანასკნელ პუნქტსა „ამასია“-დ წოდებულსა.

შენიშვნა.

ა—მა—ძუ—სი შინაარსის სწორად ამოცნობას ადამიანის წარსულის შესწავლისათვის დიდი გამოყენებითი მნიშვნელობა აქვს, რის გამო ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, ამ საკითხთან დაკავშირებით, მკითხველ საზოგადოებას ცოტა უფრო მეტი მასალა მივაწოდოთ, ვიდრე ეს ამგვარ კონსპექტიურ გამოცემას შეეფერება.

„ამაძონ“-ის—ამაზონკის შინაარსსა დღემდე, ათასი წლების მანძილზე, ადამიანი შლიდა გაგების შემდეგი ხაზით: „ა—მაძობ“ ორი ბერძნული სიტყვააო და უ—ძუძოსა ნიშნავსო და ეს იმიტომო, უმატებს დღემდე გაბატონებული გაგება, რომ ამ მეომარ ქალებსაო მშვილდ-ისრის გამართვისას ძუძუები ხელს უშლიდაო, რის გამო მათ მარჯვენა ძუძუსა გახურებული რკინით ამოუწყვადენო. უძველესი დროიდან ბერძნული წყაროებით შემონახულ ამგვარ გაგებაში ექვი, წასული საუკუნის მესამოცე წლებში, ი. შოპენმა შეიტანა, მაგრამ გაბატონებული გაგების ფარგალს თავი ვერ დააღწია, რადგან თავისი დამოუკიდებელი გაგება მას თითონ არ მოეპოებოდა.

см. „Новыя заметки на древния истории Кавказа“, Ивана Шопена, 1866 г. стр. 20, С.-Пет-рг.

ჩვენ კი დღეს, ფალსური ენის აღმოჩენის საფუძველზე, წინასწარ განვსჯვრიტეთ, რომ კავკასიურ ენებში მოსალოდნელია „ამაძონის“ სახელად გამოყენების შემთხვევა და მართლაც 13/V 1932 წ., ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის ერთერთმა დაღესტნელმა სტუდენტმა, **ზაგაუდინოვმა მაგომედმა**, სხვებთან ერთად, მომცა შემდეგი ცნობა: ДЫЛЫМ-ში, რკინის გზის სადგურის; ხასავ-ჟურტის, სამხრეთით, წმინდა ავარლების მოსახლეობაში, მას თითონ გაუგონია „ამაძო“ სიტყვათა შემდეგს საქცევში: „ამაძოლ ვას“, ე. ი. **ამაძოსი ვაჟი**. აქედან ცხადია, სიტყვა „ამაძონის“ ბერძნულ ენობრივ მასალაზე გამართვა ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოიხსნას და კავკასიური ენების კუთვნილებად გამოცხადდეს!

ამაძუსთან ერთად თავისთავად გვახსენდება ქართულივე:

აჲ—ნი—ნა, სადაც მარცვლები: „აჲ“ და „ნა“ გარკვეული შინაარსის მატარებლად გვევლინება: „აი“ და „ქალი“; ამგვარად, საშუალება გვეძლევა „ნი“-ს შინაარსიც ამოვიცნოთ: ის ფალსა უნდა ნიშნავდეს, რადგან „ნი“-მ ქართულ ენაში **მრავლობითი რიცხვის ნიშნულობის სახით შეინახა თავი: კაცი-კაცი და სხვა**. ფალის საშუალებით, ხომ, ყოველი არსი მრავლდება!

„ნი“ აცტეკების, ძველი მექსიკელების, ენაზეც, რომელნიც „ვანათლებულმა“ ევროპელებმა მე-XVI საუკუნის დასაწყისში მოსპეს, უდრიდა ქართულ „მე“-სა: ცხადია, შექმნილმა შემქნელის სახელი თავის არსის სახელად მიიჩნია, ე. ი. „მე“-ც ფალია!

ჩვენ მიერ უკვე წარმოებული დაკვირვების საფუძველზე, გასაგებად იშლება, ხეთის მეფის, მურსილის, ორი სახით მოცემული, ასულის სახელიც: **ილანი=ირინა**.

ირინა, ხომ იგივე არინაა, ე. ი. ი—რი—ნა—ა—
რინ—ნა—სა, რაც შეეხება მეორე სახელს: ი—ლა—ნი, ის
გასაგებია აფხაზურ ქართული ენის ჯვარედინზე, სადაც
ლა—ძუნა—სა ნიშნავს... Абхазский яз., გვ. 191
П. К. Услар.

აქ გავიხსენოთ ფრანგული „la“ ქალური სქესობრივობის მარცვალი.

ნი—კი, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ქართულშიაც ფალის მნიშვნელობით ყოფილა გამოყენებული.

რაც შეეხება პირველს მარცვალს სახელში:

„ი“-ს—ეს, ხომ, დღესაც ბავშურ ენაზე მითითებითი ნაცვალსახელია და, ალბად, ყველა ენებს ახასიათებს.

ამ სიტყვაში ქალურსა, ვაჟურთან შედარებით, პირველი ადგილი აქვს დათმობილი, ე. ი. ადამიანის წარმოშობისთვის ქალურია მთავარი. ჩვენ მასალასთან დაკავშირებით დიდად საინტერესოა იაფექტიდების ის დაკვირვება, რომელიც გვეუბნება, რომ „Формы множественного числа звучат смотря, по группе, в языках яфетических:

—ალ—ოლ || ულ—ელ || ილ или с перестановкой:

—ლა—ლო || ლუ—ლე || ლი, ან

—არ—ორ || ურ—ერ || —ირ, ანდა გადანაცვლებით:

რა—რო || —რუ—რე || —რი

ცხადია, იაფექტიდები, დროთა ვითარებაში, იძულებული შეიქმნებიან მიიღონ უკამათოდ ჩვენი გაგება და აღიარონ ეს მარცვლები ფალისა და კტეისის ცნებების მატარებლად! ამის მოლოდინში ვართ „სალ, ბერ, ღონ, რომ“-ის შესახებაც იხ. „Кавказския племенные названия и местные параллели, Петербург, 1922 г. Н. Я. Марр. стр. 10 и 11.

ამგვარადვე უნდა გავიგოთ მიხ. წერეთლის მიერ მოყვანილი ქალღმერთში მრავლობითი რიცხვის დაბოლოება—„ნი“—და ხურრულში: ნა, ნი და ნე, ცხადია, ქართულ „ნი“-სთან დაკავშირებით.

იხ. ხეთის ქვეყანა, 1924 წ. კონსტანტინოპოლი.

ფალური ენის უკვე დამყარებული ფაქტების საფუძველზე, ჩვენ საშუალება გვქვია, ამა თუ იმ კავკასიურ ენაზე წინასწარ განვსკვრიტოთ ამოძუს სახელი, ვსთქვათ აფხაზურ ენაზე.

ამისათვის, როგორც ჩვენ შევამჩნიეთ, უნდა ავიღოთ მითითებითი ნაცვალსახელი, ფალისა სახელი და ფუტკრისა, ე. ი. ქალისა ანუ ქალის სქესობრივი ნიშნეულობისა, რასაც შეცნიერება „ქტეისა“-დ იტყვის. აფხაზურ ენაზე ფუტკარი ითქმის „შხა“-დ; ფალის სახელი კი П. Услар-ის ლექსიკონში არ არის მოცემული, მაგრამ ავარული „რიჰ“-ის გადანაშთი მარცვალ „რა“-ს სახით, როგორც მრავლობით ნიშნეულობას, ჩვენ აფხაზურ ენაში და აგრეთვე სხვა კავკასიურ ენებშიაც ვპოულობთ, რის გამო ვამბობთ: წინასწარ განსაკვრეტ სიტყვას შემდეგი სახე ექმნებოდა:

ა—რიჰ—შხა, ან

ა—შხა—რა.

ამ სახით ჩვენ აფხაზურ ენაში ვერაფერი ვერ ვიპოვეთ, მაგრამ რაღაც, საკმარისად თანახმაური ამისა, პროფ. ი. ჯავახიშვილს მოყავს შემდეგს სიტყვებში 1):

„მ. წერეთელი ფიქრობს, რომ აფხაზური ფუძის ღვთაება:

1) გვ. 95. „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი I, 1928 წ.

„აფახარა“, ანუ აშახარა, (იხ. მ. წერეთელი, გვ. 77), იგივე ხეთური ქალ-ღმერთი „იშხარა“ არის, რომლის კულტი ძლიერ იყო გავრცელებული მცირე აზიაში და შუა მდინარეში და რომელიც ერთ ელამურ წარწერაში აკადის მეფის ნარამსინისა, გვხვდება სახელით „აშხარა—Ashara“-თი.

ცხადია, ამაძუების სახელების აღნაგობის წესი, ჩვენ მიერ აღმოჩენილი, ამ უკანასკნელი ფაქტით, ღებულაობს მეცნაერულად ჩამოყალიბებული კანონის ღირებულებას!

ჩვენ მიერ წინასწარ განსკვრეტულ სიტყვა „აშხარა“-ში, მარცვალი „რა“ მრავლობითი რიცხვის ნიშნეულობაც¹⁾ რომ იყოს, მაშინაც სიტყვა „აშხარა თავის ფალურ შინაარს არ დაკარგავს:—აჲ, შეწირული „ქალწულები ფალოსისანი, ე. ი. ქურუმისხეები!

ამ სიტყვაში, ე. ი. ა—შხა—რა—ში, ქალის ცნებას—სქესობრივ ნიშნეულობას დათმობილი აქვს პირველი აღგილი: ჯერ ქალისა, შემდეგ კი კაცისა!

ანალიზის ამგვარივე ხაზით ხერხდება სიტყვა იშხანის შინაარსის ამოცნობა:

ი—შხა—ნი=აჲ, ქურუმისხე ფალისა!

სახელი წარმოიშვა აფხაზთ-ქართველთა ტომების ეთნიურ ჯვარედინზე, ე. ი. ქართული ენის გამოყოფამდე.

ღღემდე ეს სახელი შეინარჩუნა მუსულმანურ საქართველოში, სახელდობ არტანუჯში, „ღეთისმშობლის“ ეკლესიამ, რომელსაც თავისი ხანგრძლივი ათას წლოვანი

¹⁾ იხ. Н. Я. Марра, „Из лингвистической поэзии в Абхазию“ стр. 321.

ისტორია მოეპოვება! რა საოცარი კონკრეტიულობით არის მოცემული სარწმუნოებრივი განვითარების თანამიმდევრობა:

ქურუმნიხე ფალისა... ღვთისმშობლად გარდიქმნა!
ისიც, ხომ, ქალწულია!

სახელი „იშანი“ სხვა ადგილის აღსანიშნავადაც არის გამოყენებული ქანეთში.

ბეჭედის იმავე ტექსტში, საიდანაც ჩვენ ა—რინ—ნა-სი სახელი ამოვიღეთ, მოცემულია ხეთების იმპერიის დედოფლის სახელიც:

პ უ ტ უ ხ ი კ ა.

ცხადია, აზრთა საკმარისად რთული ხევეა ჩვენ დაგეჰირდა ა—რინ—ნა-სი დაშლით შესწავლისას, მას შემდეგ კი, ამგვარის საკითხის გადაწყვეტა უბრალო მექანიკურ საქმიანობად გადაიქცა ჩვენთვის, და მართლაც, ვათვლიერებთ ყველა სამუშაო ლექსიკონებს და ერთერთს მათგანში, სახელდობრ ქანურ-ლაზურში, აკად. მარრის მიერ შედგენილში, შემდეგს სიტყვებსა ვპოულობთ:

პუტუჯი—ფუტკარია... გვ. 180.

ხიპირი—ახალი კიტრი... გვ. 232, გადატანითი მნიშვნელობით, ვაჟისა სქესობრივ ნიშნეულობასაც ნიშნავს, იქვე ხიტების პირისპირ.

ცხადია, „ჯი“ და „რი“ შემდეგი დროის დანართია, და, ალბად, ფალური შინაარსის მატარებელია, ე. ი. უკვე გასამკვეცებულ ფალთანა და კტეისთან გვაქვს საქმე!

პუტუ-ხიპი, უნდა გავიგოთ:

ფუტკარი—ფალისი-სა

ქალწული—ფალისი-სა

ქურუმინე—ფალოსი-სა, ე. ი. აქაც ამაძუა, მხოლოდ

ეს ამაძუ... ჭანიხეა—ლაზიხეა—მარგალიხეა.

აქაც თავაზიანობაა დაცული: ჯერ ქალური, შემდეგ კი ვაჟური ცნებაა მოცემული, ამგვარადვე იყო აგებული აფხაზიხე:

ა—შხა—რა—ა—უხა—რა—აშხარა!

წინა მასალის საფუძველზე, ჩვენ საშუალება გვქონდა უფროთულები ისტორიული შეცდომანი, ყველასათვის მისაღებად გავაშუქოთ და მით მეცნიერებას წინსვლის საშუალება მივსცეთ

1. ხ ი პ ა

ხიპა, ამბობს თანამედროვე მეცნიერება, ხეთების ქალ-ლმერთიაო¹⁾.

ჩვენ კი, პუტუ-ხიპასი შესწავლის შემდეგ, შეუპოვრად და რიხიანად ვამბობთ:

შეცდომაა, დიდი შეუწყნარებელი შეცდომაა—პირიქით:

ხიპი ჭანების ვაჟ-ლმერთია, ქაბუკია!..

ეს „წმინდა გიორგის“ წინამორბედი ქართველურ წარმართულ პანთეონში.

სწორედ მეცნიერების ამ შეცდომამ არ მისცა გასაქანი პროფ. ი. ჯავახიშვილს, რომელმაც მთვარის მამობრივი სქესობა დიდებული ანალიზით დაასრულა და წმინდა გიორგის დაუკავშირა.

ამავე ჩიხში მოექცა ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერიც სერგი მაკალათია.

1) Хипа... богиня хеттов, ст. 319 ч. I. Б. Тураев.

ის თავის წერილში „ფალოხის კულტი საქართველოში“, სხვათა შორის ამბობს: „წმ. გიორგი, ჩვენი ხალხის რწმენით, ნაყოფიერების ღვთაებაა და ვედრებითაც მიმართავენ მას საქონლისა და ადამიანის გასამრავლებლადო“¹).

ჩვენთვის ეს ყველაფერი ცხადია და გასაგები, რადგან წმ. გიორგიმ ხიპასი ადგილი დაიკავა ქრისტიანულ პანთეონში! თვით სახელი „გი—გო“ გაორკეცებული ფალია!

ჩვენ მიერ აღმოჩენილი ხიპი ძალიან მოძრავი და მოუსვენარი მოაშიყუა:

ის ხან მიტანელ ასულებსა — გილუ-ხიპასა და ტადუ-ხიპასა ეგვიპტეში მაყრად მიყობა და ხან კიდევ გზადაგზა, იერუსალიმშიაც მიაცილებს არტა-ხიპასა.

ცხადია, მარგალიხები და ჭანიხები ძველადაც ძალიან მომზიბლავი ქალები ყოფილან, თორემ ყველგან ისინი დედოფლებად არ მოგვევლინებოდენ!

ეს ყველაფერი ქრ. წელთაღრიცხვამდე მე-XV საუკუნის წინა ყოფილი ამბებია.

მეორე დიდი საკითხი, რომელიც საკმარისად სქელ ისტორიულ ბურუსშია მოქცეული, ეს

კ ი ვ ე ლ ა -ს

საკითხია.

კიგელა, ძველების გადმოცემით, მცირე აზიის მთავარი დედუა—Великая мать, ყოფილა. ძველები ამ სახელს გადმოგვეცემენ ამ სახითაც:

კიბელე—Cybele.

¹ „მომზიბლველი“, № 1, 1926 წ. გვ. 131.

ამ ქალ-ღმერთის კერპმა, სიპილის მთაზე, სმირნის ზღვის ყურის მახლობლად, ჩვენამდე მოაღწია და, მისთვის თავიდანვე გამოქვაბულ კლდეში, ქვის ტახტზე მჯდომიარედ მოგვევლინა, თმაგაშლილი ტანადი ქალის სახით.

მას ძველი ბერძნების გადმოცემით დერგეტოც პრქმეგია.

კავკასიური ენებიდან „კიბელას“ ყველაზე უფრო ახლო, თავის მიზანშეწონილი შინაარსით, ავარული სიტყვა „ებელ“ უდგება, რაც ავარულად სწორედ დედასა ნიშნავს, „კა“—კი, Лакский—казикумукский (ლექურად) ხელსა ნიშნავს; მაშასადამე, ხელისუფლებასაც უნდა ნიშნავდეს, „კია“—აფხაზურად—სათნოსა, მაღლიანსა ნიშნავს.

ასე რომ საბოლოოდ კიბელე=კიბელა შემდეგნაირად უნდა გავიგოთ:

ყოვლისა შემძლებელი დედა=დედოფალი=დედათ-მთავარი=Великая мать.

ჩვენი გამოკვლევის გამთლიანებისათვის, ვაწარმოთ სიტყვა „ფალოს“-ის ანალიზიც. საფიქრებელია, რომ ეს სიტყვა ბერძნების მიერ მცირე აზიიდანაა შეთვისებული: ის, ბერძნულ ენაში, „ფალოს“ სახითაა მოცემული, რაც პალოსა ნიშნავს—ამ ფუძიდან ნაწარმოები სიტყვები ბერძნულში ჩვენ არ გვხვდება, ქართულში კი პირიქით, ის გამოყენებულია „ფლ“-ვაში, ფამფალში, ე. ი. ფალ-ფალ-ში: სიქარბით ფალური შინაარსიან სიტყვაში.

მეგრულში—ფალუა—ალორძინებასა ნიშნავს, ფალო—ერთსა, მხოლოდ ერთსა ნიშნავს, ქანურად ფალა—მანვილსა გრძელწვეტიანსა ნიშნავს, ფალუ კი—ერთსა ნიშნავს.

ამ ფუძის მცირეაზიულობას საუცხოვოდ ადასტურებს სიტყვა „ფალუსტაკი“, რომელიც ჩვენ ს. მაკალათიას გამოკვლევაში გვხვდება.

ამ სიტყვის განმარტება ჩუბინაშვილის ლექსიკონში ამგვარია: „ზეთით ასურემილი ფქვილი, ზაფხული თაფლითა ან შაქრითა და სანელებლითა და მოხრაკული“.

საყურადღებო ის არისო, ამბობს ს. მაკალათია, რომ ნამცხვარსა განსაკუთრებით „ახალ სიძესა“ მიაართმევენო.

თუ გავითვალისწინებთ, რომ

ტაკ—აფხაზურად, შიგნით შედენსა, შეტენსა ნიშნავს... სტრ. 161.

ტაკა—მხიარულსა, ლექურად... სტრ. 352.

ქართული ტაკება—გულში დანა იტაკაო, **ВОНЗИТЬ В ГРУДЬ НОЖ**, მაშინ ვიტყვი, რომ ფალუსტაკი მცირე აზიული სიტყვაა და ის მოხრაკული, რომელიც ამ სიტყვის შინაარსით გვევლინება სქესობრივი ენერგიის ამგზნებ საშუალებადა ყოფილა ძველად მიჩნეული.

ასე რომ, ფალუსტაკი, ისე როგორც ლა-ზუს-ტაკი და ლახოსტაკი, იმ შორეული დროის სიტყვაა, როდესაც ადამიანს თავისი თავის ფიზიკური მხარე არ მიაჩნდა სათაკილოდ და, პირიქით, უყვარდა და აღმერთებდა მას!

ამ ფალურ მასალას თუ განვიხილავთ სიტყვა „უფალთან“ დაკავშირებით, მაშინ ჩვენ სულ ადვილად მივხვდებით, რომ

უ—ფალი... ფალისა არამქონესა ნიშნავს, უსქესოა, ე. ი. ფალის გარეშე შემომქმედი, სიტყვით გამჩენია—ღმერთია!

ეს თუ ასეა, მაშინ ვასკვნით:

„უფალი“ მცირე აზიაში მე-XV—XIII საუკუნეებში ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე გაბატონებული კულტის წიაღიდან გამომდინარე ცნებაა, ე. ი. ფალის განყენება!

ამგვარად, უფალი მცირე აზიაში ჩამოყალიბებული იდეაა, აზრია—ფალი კი მისი საგნობრივი ბაზაა!

აქ თავისთავად იბადება საკითხი:

თუ უფალი მცირეაზიელია, სადაურია თვით ფალი? ამის გადასაწყვეტად ჩვენ მიერ აღმოჩენილი „ფალური მიდგომა, კავკასიური ენების საფუძველზე, ამა თუ იმ საკუთარი სახელის შინაარსის ამოსაცნობად“, გამოვიყენოთ მცირე აზიის მიწა-წყლის გარეშე მდებარე ქვეყნებისათვისაც, მაშინ ჩვენ პირველ ნაბიჯიდანვე წავაწყდებით საოცარ ფაქტებს:

1. **ქუთაისი**—დასავლეთ საქართველოს სატახტო ქალაქი, არამც თუ ეთანაბრება მცირე აზიის „ქუთაა“-ს, ქალაქ ბრუსას სამხრეთით მდებარეს, არამედ მის გამეორებად გვეჩვენება.

ერთერთ დაღესტნურ ენაზე, სახელდობრ, **არჩიულზე**, სიტყვა:

ქუთ—(კუთ) ქალის სქესობრივ ნიშნულობასა კტებისა ნიშნავს, მაშასადამე ქალსაც, იხილე **А. М. Дирр**-ის ლექსიკონი, გვ. 178.

აქედან ცხადია, რომ

ქ უ თ ა ი ს ი —**ქალთა**, **ქურუმისეთა ქვეყანასა ნიშნავდა**; **შეხაძლებელია**, „**ფალისა და კტებისა კერპთათვის შეწირულ ქალწულთა**“ **ქალაქსაც ნიშნავდებ.**

ამგვარადვე გვესახება ჩვენ სამეგრელოში და სვანეთში არსებული სოფლების სახელებიც: „ნაა“ და „ხე“,

რადგან ორთავე სიტყვა ქართველთა ტომების ენაზე „ქალსა“ ნიშნავს, ასე რომ

ხე....ქალთა სოფელია, სენეთში.

ნაა.... ქალთა სოფელია, მეგრელიაში.

სიტყვა „ხე“ ცხადია უკავშირდება რუსულ „ხა“-ს სიტყვა Швечи—ха-ში, Собени—ха-ში, სადაც ха—ცოლსა ნიშნავს—ქალსა!

ამგვარად, მთელ ზღაპრულ გადმოცემებს, ძველი ბერძნების მიერ დღემდე შემონახულს, ფაქტიური საფუძველი ეძლევა.

ამგვარივე მიდგომით ჩვენ ადვილად გამოვიცნობთ, ვიწრო სპეციალისტების მიერ ტანჯული სიტყვის, ქართლის, შინაარსაც.

ქართლი, ე. ი. აღმოსავლეთი საქართველოს სახელი, თვალსაჩინოდ უკავშირდება არჩიულ სიტყვას:

ქართა, ნათესაობითი ბრუნვაში, ქართალინ, რაც მამაკაცის სქესობრივ ნიშნეულობასა ნიშნავს, იხ. А. М. Дирр-ის ლექსიკონი, გვ. 176; 1908 წ.

მაშასადამე „ქართა“ მამაკაცსაც ნიშნავდა.

მეგრული „ქართი“—ქართლსაცა ნიშნავს და ტფილისსაც. გვ. 345. ი. ყიფშიძე.

ასე რომ ქართლი... „მამაკაცთა ქვეყანასა“ ნიშნავდა.

ცხადია, ეს სიტყვა წარმოიშვა იმ დროს, როდესაც ფალის კერძს მამაკაცთა დიდი რაზმი იცავდა და ყოველი მამაკაცი ფალის მხედარს წარმოადგენდა.

ამ ხაზითვე მქლავნდება სიტყვა „როსსია“-ს შინაარსი: „როს“—ავარულად მამაკაცსა ნიშნავს, მაშასადამე „როსსია“ მამაკაცების ქვეყანასაც ნიშნავდა.

იხ. Аварский ლექსიკონი П. Услар-ისა, გვ. 176.

ამგვარივე იყო ცხოვრების დალაგება, ალბად, ქალთა ქალაქებშიაც, მხოლოდ ფალისა ან კტეისის კერპთა მცველებად იქ შეიარაღებული ქალები გამოდიოდნენ.

ასე გასაგებად გამოირკვენ, ათას წლობით ბურუსით მოცული, ზღაპრული „ამაზონკები“ ბერძენთა ლეგენდებისა!

უკანასკნელ ხანებში ჩვენ ხშირად გვესმის იაპონელთა გვარები, სიტყვა „ავა“-ზე დაბოლოებული. ჩვენ შორეულ აღმოსავლეთში, 11 წლის მანძილზე დაგროვებულ მასალაში, ამ სიტყვაზე ნაფიქრალი აღმოგვაჩნდა, ეს იყო 1897—1908-მდე. ამ საკითხს ჩვენ დღეს კვლავ დავუბრუნდით და აღმოვაჩინეთ, რომ

ავა—ერთერთ დადესტნურ ენაზე, სახელდობრ, ხაურკალინურზე (Даргинский), დედასა ნიშნავს, იხ. П. Услар-ის ლექსიკონი, გვ. 282.

აქედან ცხადია, ეს გვარები იმ დროინდელია, როდესაც ოჯახს ქალი მეთაურობდა—ეგრედ წოდებული მატრიარხატული ხანა იყო გაბატონებული, როდესაც პიროვნება დედაზე აღინიშნებოდა, ასე რომ მეგრული გვარი, თუნდა ელი—ავა, შემდეგნაირად უნდა გავიგოთ: იმ პიროვნებისა, რომელზედაც ლაპარაკია, ელი—დედაა.

იაპონელი კომუნისტის გვარი „ციკავა“, რკინის გზის სამმართველოს წევრი, „ცუკავა“, აფხაზეთის კომკავშირელი „აშხაცავა“ ფალურ-კტეისური ელემენტების მატ-ია: სიტყვა „ავა“, ხომ, თანამედროვე ავარლებში საკმარისად გავრცელებული ქალის სახელიცაა.

შესაძლებელია ამ სიტყვიდან იყოს წარმოშობილი თვით სახელი ხალხისა და „ავარას“-ი, რაც დღეს კამ-

ბეჩის ერთი წლის ფურსა ნიშნავს, ერთერთ დაღესტნურ ენაზე.

ამგვარი დაკავშირება კავკასიურ და იაპონურ „ავა“-სი ნუ გაგვიკვირდება, რადგან არსებობს არა ნაკლები განსაცვიფრებელი ფაქტი: ჩინური „ცზე“ და ქართული „ძე“ ერთმანეთსა ფარავენ როგორც შინაარსით, ისე ფონეტიკურად—ბგერებითაც.

იხ. Я. В. Шницера, „История Письмен, стр. 43.

и 44.

წინა მასალასთან დაკავშირებით თავისთავად გვახსენდება ის ადგილი „ქართლის ცხოვრებისა“, სადაც ნათქვამია: „ესე თარგამოს იყო შვილი თარშისა, შვილისა ავანანისა, შვილისა იაფეტისა, შვილისა ნოესა“. ქართული ამ ზღაპრული გადმოცემის აზრი ვერ სძლია ორი ათასი წლის მანძილზე ადამიანის ცნობისმოყვარეობამ, ჩვენ კი გვგონია, ამისათვის რაღაც გავაკეთეთ.

მოყვანილ ტექსტში ჩვენი ყურადღება შევაჩეროთ თარგამოს“-სა და ავანანა“-ზე.

ცხადია, უკანასკნელი სიტყვა „ავანანა“-ში ჩვენ გვაქვს ორი ერთმნიშვნელოვანი, სხვადასხვა ტომის ენათა, სიტყვები: ავა და ნანა.

როგორც ვიცით, ამ ორმა სიტყვამ თავისი ცოცხალი შინაარსი დღემდე შეინარჩუნა, დაწყებული იაპონიის კუნძულებიდან მცირე აზიის დასავლეთ კიდემდე.....
.....კუნძულ კიპრამდე, ხმელთა შუა ზღვაზე, რომელსაც ძველად, ე. ი. კუნძულს, „ავანანა“ ეწოდებოდა!

აქ სიტყვა ავა ნანა-სა უდრის.

ამ სიტყვამაც თავი შეინახა მეგრულ გვარებში: ბერია, ბედია და სხვა, წინათ ბერიავე, ბედიავე იქნებოდა.

აქედანვე ვაღდედავ, ე. ი. ღედავ-ღედავ! ცხადია, „ავენანა“-ს საფუძველზე წარმოიშვა ქართულში „ივენანა“, რადგან „ავე-ავე“-სა უდრის!

უკანასკნელი სიტყვა, რომელსაც ჩვენ ამ შრომაში ფალსურ ხაზზე გავარჩევთ, იქნება:

თარგამოსი, კავკასიელთა მამათ-მთავარი, პატრიარხი, სამი რედაქციით არის შემორჩენილი:

ებრაელთა ლეგენდარული გადმოცემით: თოგარმა	
სომეხთა	თორგომ
ქართველთა	თარგამოს

ამ სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა, ზოგადი მრავალმხრივი მოსაზრებისა საფუძველზე, ჩვენ გავბედეთ და დაუკავშირეთ პამირის აღმოსავლეთ საზღვარზე აღმართულს უუმაღლეს, თოვლით მოცულს, მწვერვალს, დღეს მუს-ტაგ-ატად, ე. ი. მთათა მამად, წოდებულსა.

ამ მწვერვალს დღემდე შერჩა ძველი სახელიც ორგვარი სახითა: Тагарма—თაგარმა და Тагирма—თაგირმა.

აქ, ამ მთაზე, მწვერვალის მახლობლად, ყველაფერი ამ სახელითაა ნახსენები: მდინარე, რომელსაც აქვე მყინვარზე აქვს სათავე, პატარა სოფელიც და მდინარის პირად მდებარე სათიბებიც...

აქვე, მახლობლად არის სოფელი და ველი შინდი¹⁾. პირველი სახის—რედაქციის ამოცნობა, კავკასიური ენების საფუძველზე, ჩვენ ვერ მოვახერხეთ, დღევანდელ

1) სვენი გედინის—Свена Гедина, ტომი I, გვ. 198, на карте Памира, там же имеется особая карта вершины „Тагармы, რომლის სიმაღლე 7740 მეტრს უდრის, ე. ი. დაახლოვებით 7 ვერსია!

მეცნიერებაში არსებულ გაგებას კი, თითქო тагарма, თაგარმა—„დალ-ალმა“-სი საფუძველზე წარმოიშვა, რაც ადგილობრივ თურქთა ტომების ენაზე „მთა-ვაშლა“-სა ნიშნავსო, ჩვენ ვერ შევეურიგდით, რადგან მას არავითარი ფალური ნიშნეულობა არ ახასიათებდა, ჩვენ კი ამგვარი ნიშნეულობის აღმოჩენას, მრავალი ისტორიული დაკვირვების საფუძველზე, დანამდვილებით მოველოდით!

ამის შემდეგ, ჩვენ მეორე რედაქციას მივმართეთ და მის დაშლით შესწავლას შევეუდექით:

Тагирма—თაგირმა,

აქ

Тах, ტახ—ტახტსა, დასაჯდომსა ნიშნავს, იხ. Аварский яз. Услара, стр. 185.

гир, გირ—წოლას ნიშნავს, იხ. Андийский яз., А. М. Дирра, стр. 119.

მა, მა—მამასა, მამაკაცსა, მამაკაცის სქესობრივ ნიშნეულობასა—ფალსაც ნიშნავდა ქართულად.

ასე რომ

თა—გირ--მა

უნდა გავიგოთ ამგვარად:

ტახტი—წოლა—ფალი, ანუ

ფალის—განხველების ადგილი, რაც ერთობილობაში

თაგირმა-სა

მოგვეცემს!

აი, სწორედ, ამ თაგირმიდან¹⁾ ცხენთა მეჯოგეებმა, შორეულ წარსულში, მცირე აზიაში, მთელი თავისი სარწმუნოებრივი ჩვევებითა ფალი გადიტანა.

¹⁾ დღევანდელი „ალტაი“, ძველად ალა-ატაუ, ცხადია, აფხაზური „ლა“-სი ხაზით, მხოლოდ „დედუასი მთა“, რადგან ყოველად ძლიერ დედად, ე. ი. კიბელად“, „ა—ლა“ მხოლოდ მცირე აზიაში იქცა.

აქ კი ამ კულტმა, ეკონომიური ბაზის შეცვლის
გამო, ადგილობრივ სხვა კულტთა სახეებთან ერთობი-
ლობაში, თანდათანობით სახე შეიცვალა და სხვათა შო-
რის ქრისტიანული კულტის სახეც მიიღო!

ამ კულტში, ქართულ ხაზზე, ფალის ადგილი უფა-
ლსა დასჩემდა და ამგვარად

უფალი ფალის ანტიტეზად იქცა!

ე. ი. უფალი ფალის უარყოფად იქცა!

წინა მასალის საფუძველზე ვასკენით:

ფალი შორეული აღმოსავლეთის თურქთა ქვეყნი-
დანაა!

უფალი კი, ახალ ბაზაზე წარმოშობილი მცირე-
აზიელია!

ნაწილი II.

ფალური კულტის პრობლემის დამუშავებისას, ჩვენ საკმარისად დასაბუთებული სამუშაო ჰიპოტეზა წამოვაცენეთ: თანამედროვე კავკასიელები ძველი ხეობის უშუალო მემკვიდრენი არიან.

ამ დებულებამ ჩვენ საშუალება მოგვცა იმ დროინდელი კულტურის ერთერთი უურთულესი საკითხი, ყველასათვის მისაღებად გადაგვეწყვიტა.

ამან კი ჩვენი სამუშაო ჰიპოტეზა სინამდვილეს საგრძნობლად დაუახლოვა.

ამით წახალისებული, ჩვენ შევეცადეთ ჰიპოტეზა სრულ ქეშმარიტებადა ვაქციოთ.

ამისათვის ჩვენ მივმართეთ, კავკასიური ენების საფუძველზე, სიტყვა ხატის დაშლით შესწავლას.

ხატტი¹—Хатти

ამ სიტყვას გრძელი და რთული ისტორია აქვს: „კაცი ხატისა ქვეყანისანი გამოვიდნენ ქვეყნისა აკადისა ხაწინალმდეგოდ“²), ასე მოკლედ და ბუნდო-

1) Люди страны Хатти выступили против страны Аккад.“. Хетты и хеттская культура ст. 112.

2) ქალაქებისა, ქვეყნებისა, ხალხისა და სხვა სახელები ჩვენს შრომაში მოყვანილია წიგნიდან: Хетты и хеттская культура, 1924 г. Москва-Ленинград.

ვანად აღნიშნავს ბაბილონის ლურსმული ჩანაწერი ხეთების პირველ შემოსევას.

ეს მოხდა, ბაბილონის მეფის, სამსუდიტანის დროს (1956—1926 წ.) ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე¹⁾. აქედან დაწყებული, ასსირიის მეფის, სარგონ II-მდე, (722—705 წ. ქრ. წ-დე), რომელმაც ხეთების სახელმწიფო საბოლოოდ მოშალა, ხეთებს შერჩათ სახელი **ხატტი**: თვით სარგონ II ერთერთ წარწერაში გვამცნობს, რომ მან ააშენა სასახლე „ქვეყნისა **ხატტისა** სასახლისაებრ“²⁾.

რაც შეეხება ეგვიპტელებს, ისინი ხეთებს, როგორც თანამედროვე მეცნიერება გადმოგვცემს, ქრ. წ. წინა დროიდან, მე-15 საუკუნიდან, იცნობენ და მათ ქვეყანას „**ხეტა**“-ს უწოდებენ.

ბიბლიამაც შეითვისა ეს სახელწოდება შემდეგ, მხოლოდ ერთი „ტ“-ს მოხსნით: **ხეტა**. ამ უკანასკნელ ხანებში სიტყვა ხიტაც შემოიღეს ხმარებაში, თვით ხალხსა კი ხან **ხეტებად** იხსენიებდნენ, ხან **ხატებად**, **გიტებად**, **ხიტტიტებად** და **გიტტიტებად**³⁾.

თვით ქალაქის სახელი კი ხან **ხატა**, ხან **ხიტა**, ხან **ხეტ**, **ხიტტი**, **ხატტუ** და ბოლოს, „**შაში**“-ს დანართითაც გვხვდება: **ხატა-შაშ**, **ხატტუ-შაშ** და სხვა.

ამის გათვალისწინების შემდეგ, ჩვენ შევუდექით ამ სიტყვის დამარცვლით შესწავლას, რამაც მის ირგვლივ შემდეგი ხასიათის მასალა დაგვიგროვებია:

1) ამ ფაქტის დათარიღება 1750 წ. ქრ. წელ-მდე, საერთოდ უფრო მისაღებია!

2) „по образцу дворца страны Хатти“, стр. 210.

3) Я. Б. Шницер. история письмен, стр. 79, С.-Петербург 1903 г.

ხა — ха — დარაჯი { Чеченский стр. 219, П. К. Услар
 ატ — jat — ძროხა { яз. стр. 182,

ათუ — atv — ცხვარი... Абхазский яз., стр. 161.

П. К. Услар

ჰიტ — hit — წრიაბები რკინისა, ფეხზე გასამაგრებელი
 მთებში, კლდეებზე სასიარულოდ
 Аварский яз., ст. 93. П. К. Услар.

ჰატ — hat — გაუბარსავი, ე. ი. თმიანი, Курдское наречие,
 „კურმანჯი“ П. Лерха. 1856 г. СПб. стр. 9,
 кн. III.

ტა — ta — ცხვარი... Лакский яз., стр. 353, П. К. Услар.

ტაჰ — taji — კვიცი... Аварский яз. стр. 184. П. К. Услар.

აქ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ უსლარის
 ლექსიკონები არასრულია და იმასაც გავითვალისწინებთ
 რომ შესწავლისათვის აღებული სიტყვა „ხატატა“ ერთი
 უუძველესი სიტყვათაგანია, დროში მოცემული, აჩინნასი
 და ამჰჰუსი უხნესი თუ არა, თანადროული მაინც, მაშინ
 გასაგები იქნება, თუ მისი წარმოშობის შესახებ შემდეგს
 შესაძლებლობებზე შევჩერდებით:

ხა-ატ, ე. ი. დარაჯი — ძროხა.

ხა-ათუ, ე. ი. დარაჯი — ცხვარი.

ხა-ტა, ე. ი. დარაჯი — ცხვარი.

ხა-ტაჰი, ე. ი. დარაჯი — კვიცი.

აქ მოცემული ოთხივე შეუღლება მწყემსის ცნებას-
 თან მიგვიყვანს და ამის გამო ვამბობთ: ხატ, ხათუ, ხატა,
 ხატაი — მწყემსსა ნიშნავს.

ამის ცოდნა ჩვენ საშუალებას გვაძლევს ერთერთი
 უურთულესი და უუძველესი საკითხი ყველასათვის მისა-
 ლებად გადავჭრაოთ: ეს საკითხი ლიკ-სოსების, ე. ი. მეფე-
 მწყემსების, ვინაობის საკითხია.

ეგვიპტელი ისტორიკოსი, რომელიც სცხოვრობდა მე-IV—III ს. ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე, ძველი წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გადმოგვცემს ლიქსოსების შემოსევის ამბავს ეგვიპტეში: „გამოურკვეველია, ამბობს ის, რის გამო გაგვირისხდა ღეთაება: აღმოსავლეთით სრულიად მოულოდნელად მოგვევლინა უტნობი ჩამომავლობის ხალხი.

თავხედურად შემოიჭრა ეს ხალხი ჩვენს ქვეყანაში და ადვილად, წინააღმდეგობისა გაუწევლად, დაიპყრო ის. სძლიეს რა თავადებსა ქვეყნისასა მათ შეუწყნარებლად გადაბუგეს ქალაქები და დააქციეს ტაძრები. ბინადრებს ძალზე მტრულად ეპყრობოდენ: ზოგსა ჰკლავდენ, ზოგსა კიდევ თავის ცოლშვილითა მონებადა ჰხდიდენ. ბოლოს, მათ, ერთერთი თავიანთ შორის, მეფედ დასვეს—ის **სალიტისად** იწოდებოდა. ის ჩავიდა **მემფისში**, დაადვა ზემო და ქვემო ქვეყნებს ხარკი და ხელსაყრელ ადგილებში რაზმები ჩააყენა.

ყველაზე უფრო მან აღმოსავლეთის საზღვარი გაამაგრა და ეს იმიტომ, რომ ეწინოდა, მაშინ უკვე გაძლიერებულის ასსირიელების შემოსევისაგან.

სეფროიტის საძოვარ მინდვრებზე, **ნილოსის ტოტის ბუბასტიდის** აღმოსავლეთით, მან იპოვა მოხერხებულად მდებარე ქალაქი—**ავარისი**, რომელსაც ეს სახელი ძველი ზღაპრული გადმოცემის საფუძველზე დასჩემებოდა.

ეს ქალაქი მან დაასახლა და ფრიად გამაგრებულში, ჩააყენა 240.000-იანი, მძიმედ შეიარაღებული გარნიზონი... მთელ ხალხს ლიქ-სოსი—ჰქვიოდა, ე. ი. მეფეები—მწყემსები ჰქვიოდა.....

ზოგნი გადმოგვეცემენ, თითქო ისინი არაბები იყვნენ. მეორე ხელთნაწერში, განაგრძობს ძველი ისტორიკოსი „ლიკ“-ად არა მეფენი იწოდების, არამედ, პირიქით, ტყვეებია.... ეს მე მეჩვენება უფრო მისაღებადო, ამბობს მანეთონი, რადგან უფრო შეესაბამება ძველ ისტორიასა“¹⁾.

ამგვარად ლიკ-სოსების საკითხი მანეთონის დროსაც კი, ე. ი. 2200 წლის წინათაც, დიდი ბუნდოვანობითა ყოფილა მოცული და თუ დღეს ამ ბუნდოვანობასა ოდნავ ბოლოს ვუღებთ, ამის მიზეზი სიტყვა „ხატის“ შემადგენლობისა ზე შინაარსის სათანადო ამოცნობაა: ავარისის²⁾ დამაარსებლების, ე. ი. ავარლების ფაქტიური მეჯოგეების—მხედრების მეთაურობით, მცირე აზიელ ხალხთა შემოსევა, რომელთა შორის, შორეულ აღმოსავლეთიდან ამ ხანებში ახლად და ძველად მოსული ხეთებიც იქნებოდა, ეგვიპტელებს იმ თავითვე სწორად აღუნიშნავს, მისი რეალური შინაარსის დაცვით: სოს-ად უთქვამთ, რაც ეგვიპტურად მწყემსსა ნიშნავს. აქედან წარმომდგარა სიტყვა ლიკ-სოსი, რადგან სწორედ ამ მწყემსებიდან — ავარლებიდან მოველინათ მათ ახალი მეფეები.

არის ნიშნები, რომ მეფის გადაცვლისას, ახალ მეფეს მწყემსები თავიანთ წრიდანვე არჩევით სვამდენ ტახტზე; ასე რომ ამ სინამდვილის ლიკ-სოსად აღნიშვნა სრულიად ბუნებრივია: ლიკ-სოს, ე. ი. მეფე—მწყემსებიდან ანუ მეფეები—მწყემსებიდან და არავითარ ტყვეებზე—აქ ლაპარაკი არ შეიძლება, როგორც ამას მანეთონი

1) Б. Тураев, стр. 264 ч. I.

2) ავარის-სა—ხატუარ-იც ჰრქმევია იხ. Б. Тураев, стр. 266 ч. I.

სჩადის, პირიქით ტყვეებად თუ ვინმე იქცა, ეს სწორედ ეგვიპტელები იმ ხანებში და არა მწყემსები—ავარლები!

ავარლებს, შორეულ აღმოსავლეთის უუძველესი ხატაეთის შვილებს, დღემდე შერჩათ ანდაზა—გაგება: „დამძლეველი დაძლეულსა რაცა სურსა, იმას უზამსო“, ე. ი. ვაჟ დამარცხებულთ, და თუ მათი წინაპარნი მეფეებსა ირჩევდენ, ეს მეფეები ეგვიპტელთათვის ესაპირობოდათ და არა თავისთვის. აქედან ცხადია, ყოველი ავარელი-მწყემსი ყოველ ეგვიპტელს პატარა მეფედ ევლინებოდა, ასე რომ მეფეები—მწყემსებიც პირდაპირი გაგებითაც სრულიად ბუნებრივი ფაქტია.

ამგვარი გაგების საფუძველზე, ჩვენ შეგვიძლია მანეთონის გადმოცემაში მეორე, არანაკლებ, საგულისხმო შესწორების შეტანა, რაც იმის მომასწავებელია, რომ მანეთონის უუძველესი წყაროები საკმარისად ბუნდოვანი ყოფილა.

შეიძლება ეს იმის ბრალიც იყოს, რომ ავარლების ბატონობიდან თავის დაღწევა ეგვიპტელებმა შედარებით მოკლე ხანში, ასი წლის თავზე მოახერხა¹⁾.

მანეთონის გადმოცემით, ქალაქი ავარიისი ავარლებს ღიკსოსებს სახელდებით უკვე მზად დახვედრიათ.

ცხადია, ეს ასე არ არის: ამ ადგილზე შეიძლება მცირე რამე კადეც იყო ეგვიპტური სახელის მატარებელი, მაგრამ რომ ავარიისი, თვით სახელი, ავარლებთან დაკავშირებული სიტყვაა, ამაში ჩვენ ეჭვი არ გეპარება:

ავარა—Аварга—годовая телка, буйволица, камбегის
ფური—ლოლო—ზაქია, Лезгинский. Кюрин-
ский яз., стр. 326. П. К. Услар.

¹⁾ ეს ფრთხილი გამოანგარიშებით: არის ავტორები, რომელნიც 100-ის მაგივრად 500 წ. ვარაუდობენ.

ამგვარად, ეს სიტყვა ერთერთ დაღესტნურ ენაში გვხვდება და ცხადია, ის სხვა ენებშიაც უნდა იყოს... ეს ღღეს.

რაც შეეხება ფალურ ხანას ა—ვა—რა ამაძჟა ა — შხა—რა-ს მსგავსად დალაგებული! აქედან კი ცხადია, ავარისი, მწყემსების მიერ მიცემული სახელია და ავარა—ლოლო ამ ხალხის წარმომშობი ტოტემია, ფალური კულტის შემდეგი ხანაა, რაც ჩვენ აღმოსავლეთით მცხოვრებ მეზობლებზე—ავარლებზე, მეორე თვალსაჩინო მითითებად უნდა მივიჩნიოთ!

პირველად, ხომ, ა—რიჰ—ნა—ამ მოგვცა ამგვარი მითითება. დანარჩენი სიტყვების ანალოზიც ადასტურებს იმ აზრს, რომ კავკასიელები მცირე აზიის უუჭველესი ფედერაციის მემკვიდრენი არიან:

შაშ=ჩრდილოური, ჩაჩნურ ენაზეა მოცემული.

ხარრი=ფალლუს—მხედარი, დარაჯი,

(ქვეყანაა)

(ხალხიცაა) ჩაჩნურ-ავარულზეა, მოცემული

ბალა—ხურუშიანი, ვნებიანი ლეკურზეა მოცემული.

(ხალხია)—ლაზები—მეგრელები უნდა იყოს!

ლუვი—ლომი, ჩაჩნურზეა მოცემული.

(ქვეყანაა)

ანციკრა—ათი ქვა—ლოდი რბილი, ავარულზეა მო-

(ქალაქია) ცემული, დღევანდელი ანგორა.

ტუბალ—კვიცი ხურუშიანი, ავარულ-ლეკურ ენაზეა

(ხალხია)— მოცემული, ქართველების წინაპრებად გვესახება!

მარუშ—ახალგაზრდა გმირი, მამაკაცები, ძველ ინ-

(ქალაქია) დურზე¹⁾ და ჩაჩნურზეა მოცემული.

¹⁾ стр. 24, проф. О. Шрадер.

მილიდ—თაფლი, გოთურად ¹⁾, მაშასადამე ქალიცაა

(ქალაქია)

ცალმა—საზოგადო აღერსის, წოლის ადგილი, ლე-

(ქალაქია) კურსა და ჩაჩნურ ენაზეა მოცემული.

ხიმშუვა—ტკბილი წყარო—ჩაჩნურ-აფხაზურზეა

(ქალაქია) მოცემული.

ხალაზი ²⁾—ხევი, ავარულზეა მო—ლი.

(ქვეყანა)

კარუხალიში—ჭრელი მიმინო—კაჟურინულზეა—

(ქვეყანა) Лезгинский ³⁾ მ—ლი.

კარხემიში—ველის ციხე—ციხე უძღვევლი, აფუ-

(ქალაქია) ლურსა და (Даргинский) ხაურკა-

ნურზეა მოც—ლი.

კადეშ—ოქროკარიანი, ჩაჩნურზეა მოც—ლი.

(ქალაქია).

ხამატ—სადარაჯო, ჩაჩნურზეა მოც—ლი.

(ქალაქია)

კატე—ხელის ხუთივე თითი, ავარულზეა მოცემული,

მაშასადამე, მთავარსაც, მბრძანებელსაც ნიშ-

ნავს. მეცნიერებამ ამ სიტყვის მნიშვნელობა,

სულ სხვა გზით, დაახლოებით ამოიცნო და

პროტოხეტურ სიტყვათ მიანიხია.

აქედან **კატე რინა**, სიტყვის განვითარების ავარულ ხაზზე, ნიშნავს რინა-თა მბრძანებელსა, დედოფალსა.

ღალი—დაკოდლი, Galli—Любкара, 6 სტ. 89.

ამ სიტყვაში მეცნიერება ვერ ერკვევა: სიტ-

¹⁾ იქვე სტ. 72.

²⁾ ხალაპ-აღებო იხ. აღ. წერეთელი, გვ. 16.

³⁾ „Лесги“, так сами себя зовут.

ყვას ავადმყოფობის აღნიშნავდა სთვლის...
მოცემულია კანონების 67 მუხლში. იხ.
X и X. K. стр. 136.

კვასსა—უწვერულვაშო, მაგრამ არადაკოდლი.

კუსა— აგულურზეა მოცემული და ავარულზე.

ტამალკაია—ახლად ზვეულთა მფარველი, ლეკურ-
(ქალაქია) ხაურკალურზეა მო—ლი—Даргинский.

ციტარა—წვრილი თევზით მდიდარი ადგილი, მეგ-
(ქალაქია) რულზეა, დღევანდელი ლეჩხომი.

ცაპპალანდა—საერთო ფარეხი, ლეკურზეა მო—ლი.
(ქალაქია)

კუმშუკი—მიწის მეურნეობის ქვეყანა, ჩაჩურ-ლეკურ
(ქვეყანაა) ენაზეა მოც—ლი.

ხაასა—მწყემსი-გოგოები, ჩაჩურ-ავარულზეა მ—ლი
(ქვეყანაა) Даргинский.

შალა—სინათლე, ხიფურკალიურ ენაზეა მოცემული.
(ქალაქია) Даргинский.

კანეშ—მკვარი, სინათლე, ავარულზეა მოც—ლი.

ტაშხინაია—მთავარი ამაძუსი, დედოფლის სატახტო
(ქალაქია) ქალაქია, აფხაზურზეა მოცემული.

კიწვანა—გველი—ხუთი—ქურუმხე, მეგრულ-კაჟ-
(ქვეყანაა) რინულ-ავარულზეა მ—ლი. Лезгинский.

ეფესი—ტროფობის — ღამე — Лезгинский — კაჟრი-
(ქალაქია) ნულზეა მოცემული.

ტირჩა - ქალწულთა, იგულისხმება, დაბა, აფხა-
ზურზეა მ—ლი.

კაპპადოკია—ველი—კოცნისა—ნეტარებისა, ე. ი.
(ქვეყანაა) ალერსის ქვეყანა. ლეკურ ენაზეა მ—ლი.

ცხადია, ჩვენ შრომაში გაშუქებულ მასალას, - ცოდ-
ნის ყოველ დარგში მომუშავე ადამიანი, თავის განვითა-

რებისა მიხედვით, ამა თუ იმ დასკვნისათვის სრულად გამოიყენებს, მაგრამ ჩვენ პირადად მხოლოდ ისტორიული დასკვნები გვიანტერესებს, რის გამო საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი მეცნიერის პროფ. ა. წერეთლის შრომაში მოყვანილ სახელებზეც შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება: **კანისის მეფე ხუტუნი და ხეთის მეფე პამბა**, სხვა მცირე აზიელ მეფეებთან ერთად, დიდ გადამწყვეტ ბრძოლასა იხდიან აკადელისა მეფისა, ნარამსინისა, წინააღმდეგ.

ეს ხდება, პროფ. ბორის ტურაევის დათარიღებით, არა უადრეს XXVIII საუ—სა ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე.

იხ. მისი ისტორიის I ნ., გვ. 58.

აქ ნახსენები ორთავე სახელი: **ხუტუნი და პამბა** ფალური შინაარსისაა—პირველი ქართულ-მეგრული ხაზით მოცემული, მეორე კი აფხაზურითა:

1. **ხუტუ=ხეტუ**, მამაკაცის სახელია; იხ. I. Кипшидзе „მეგრული ენა“.

ქართული ინტიმური სილაღე—შეკითხვა: „ხომ არ გეხუტუნებო?“

1. ჩახუტება, გეხუტება, ვეხუტები—прильнуть к груди, обнимать—ქართული ენა.

2. **პამბა**—კი იშლება შემდეგი ხაზით:

ფა—ფაა—შვილი, ძე { Абхазский яз. 119, 188 и 152
აბ—მამა, თხა

ე. ი. ძე—მამისა, ძე—ღვთისა, ძე—ფალისა. შეადარე ქართული ბა—ბააა—მამა... ფა—აბ—პამბა.

ამ სახელებთან დაკავშირებით, იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ **ა-ფხაზი, ლაზი** და **ჭანიც**¹⁾ ფალური შინაარსისაა,

1) ჭანი, ღღესაც, დაკოდელსა ნიშნავს დასავლეთ საქართველოში.

მაშინ, წინამასალის მთლიანად გათვალისწინების საფუძველზე, ჩვენ დავასკვნით: შორეულ წარსულში, გაცილებით უფრო ადრე XXVIII საუკუნისა ქრ-ლ წელთაღრიცხვამდე, შორეულ აღმოსავლეთიდან, სხვადასხვა მიზეზებისა გამო, უმთავრესად კი საძოვარი და დასამუშავებელი ადგილების დაკარგვისა გამო, მთელი ქვეყნების თანდათანობით მოსილულ უდაბნოდ გადაქცევისას, მწყემსების მეთაურობით, და შეიძლება ძალდატანებითაც, მიწის მეურნეობის საფეხურზე მდგომმა ტომებმა დასავლეთისკენ იწყეს სვლა და მთელ მცირე აზიასა და სამხრეთ მესოპოტამიას დაეუფლენ.

ამგვარ მთავარ მეთაურებად ჩრდილოეთ და დასავლეთ მცირე აზიაში აფხაზები, ლაზები და ქართველები გვევლინება, სამხრეთ მესოპოტამიაში კი სუმერლები, რომელნიც აკკადელებისა¹⁾ ე. ი. სემიტებისა, სამხრეთით გამაგრდნენ. ეს ტომი იმ დროისათვის დიდად დაწინაურებულ ტომად უნდა ჩაითვალოს.

ასე გვესახება ჩვენ შორეული წარსული აღმოსავლეთიდან მოსული ტომებისა.

ამის შემდეგ, დაახლოვებით მესამე ათასეულის შუა საუკუნოებში ქრ. წელთაღრიცხვამდე „ამორეები“—სემიტები იჭრებიან და მავრდებიან სირიასა და პალესტინაში, ეგვიპტის საზღვრამდე.

იმავე ხანებში, ჩრდილოეთით ყინულების ჩამოწოლისა გამო ევროპაში, ჩრდილოელები—ევროპელები მოველინენ მცირე აზიას ფრაკიითა და კავკასიით. აქ თუ ცხენის გავრცელების ისტორიას გავიხსენებთ, მაშინ ჩვენ

¹⁾ ეს სიტყვა ნაწარმოებია სიტყვა „ავადე“-დან, სენაარის სემიტური ცენტრიდან; „город бога солнца Агаде или Аккад“.

გავიმეორებთ ზოგიერთი მეცნიერის იმ აზრს, რომ მცირე აზიაში ცხენის მომყვანი ხალხი—ცენტრალური აზიიდან მოსული ხალხია.

თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ მითითება გვეძლევა დროის მიხედვით, ამ ხალხის ამოძრავება დაუკავშიროთ მანგოლიისა და ჩინეთის ისტორიის იმ ცნობას, რომელიც გადმოგვცემს: „ჩინეთიდან ერთერთი დიდი მთავარი მთლიანად, მთელი თავისი ხალხით, მონგოლიაში გადავიდა და იქ იწყო ქოჩად სვლაო...“

ამ ფაქტის დათარიღება, ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე, 1797 წლით ხდება¹⁾. არის ნიშნები იმის სათქმელად, რომ დღეს დაღესტანში მცხოვრები ტომები, ავარლების მეთაურობით, სწორედ ამ საუკუნეში სტოვებენ თავის მიწა-წყალს და დასავლეთისკენ იწყებენ სვლას. როგორც სჩანს ამ ხალხს მნიშვნელოვანი ნაწილები გზადაგზა შორდებოდა.

უკანასკნელად ამგვარ ჩამოშორებას კასპიის ზღვის სამხრეთით ჰქონებია ადგილი: აქ კოსხეების²⁾ ტომი სამხრეთ-დასავლეთით წასულა და, ზაგროსის მთებში არა ხანგრძლივ შეჩერებისა შემდეგ, ბაბილონი დაუპყვრია; ეს თარიღდება 1749 წ. ქ. წლ—მდე.

¹⁾ ამ ცნობას იძლევა შორეული აღმოსავლეთის ისტორიის და ენების დიდი მცოდნე პროფ. პოზდნევი, ვლადივოსტოკის ინსტიტუტის დამაარსებელი და პირველი რექტორი.

²⁾ ქოსებს, ე. ი. უწვერულვაშო ადამიანს, დაღესტნელები დღესაც დიდი ჭკუისა და მოხერხების ადამიანებად სთვლიან და შესაფერი პატივითა და მოწიწებით ეპყრობიან იხ. Услар, Ав—ский жз. 1150.

რაც შეეხები ამ ხალხის მთავარ ნაწილს, ის ჩრდილოეთ-დასავლეთით წასულა და ვანის ტბის ჩრდილოეთით მიმავალი გზით მცირე-აზიაში შექრილა.

მცირე აზიაში მათ ძირეულ მთავარ ბინადრებად მათივე მონათესავე ტომები: აფხაზები, ქართვები, ჭანები—ლაზები და მეგრელები, ე. ი. ბალაღები, ტუბალები, მიტანები, ხალაბები... და ევროპიული ტომები დახვედრიათ.

ნაწილი ამ ტომებისა, რომელიც სოფლის მეურნეობას ეწეოდა, თავის ბედს შეირიგებია და თავთავიანთ ადგილებზე დარჩომილან, შეურიგებელ ნაწილს კი უკან, დასავლეთისაკენ, დაუხვევია და ზღვის ნაპირებზე მოქცეულა.

დასაშვებია, რომ სწორედ ამ პირობებში უკვე გარკვეული სახის მატარებელი ნარევი ტომების ნაწილი ევროპაში და აფრიკაშიაც კი გავიდა.

უკან დასავლეთისაკენ, ბრძოლით დახეული მოსახლეობა, თავისთავად ცხადია, უმიწაწყლოდ დარჩა, ე. ი. მაშინდელი სოციალური თქმით მუსკინებად ანუ მესკინებად იქცა¹⁾... ახლად მოსულებიდან ავარლებმა მცირე

1) ამ სახელდებით ძველად იწოდებოდა ის ბინადარი ძირეული მოსახლეობისა, რომელიც მიწაწყალზე უფლებას ჰკარგავდა დამპყრობელის სასარგებლოდ. ეს სიტყვა ხამურაბის კანონებში გვხვდება; არის არაბულსა, ისპანურსა და ფრანგულში—ლატაკისა საცოდავის მნიშვნელობით. იხ. Г. Винклер, стр. 123, Вавилон, 1913 г.

გ. ვინკლერის ამ ცნობას ჩვენ შეძლება გვაქვს დაეუმატოთ, ჩვენი დაკვირვება: ავარულად, აგულურად, ლაკურად—Лакский, на хюркалинском (Даргинском)—„მისკინ“-ი ნიშნავს ღარიბსა, გაღარიბებას—ჩვენის აზრით,—ფალური ნიშნებიცა არის ამ სიტყვაში...

აზიაში თავისუფალი ადგილი ვერ იპოვეს და ამის გამო თავისი იარაღი, ნაწილობრივ, სირიისა და ეგვიპტის წინააღმდეგ მიმართეს და გაიმარჯვეს კიდეც.

ეს ხდება დაახლოებით, მე-XVII საუკუნის დასაწყისში ქრ—ნულ წელთაღრიცხვამდე, ერთი საუკუნის შემდეგ ეგვიპტელები მონობიდან თავს ითავისუფლებენ და დამარცხებული **ავარლები**, ეგვიპტელების მიერ დიკსოსებად წოდებულნი, უკან ჩრდილოეთისკენ იხევენ და სამფლობელოს უკანასკნელ პუნქტად სამხრეთით **ხამატსა** ქმნიან, რაც დღევანდელ ჩაჩნურ ენაზე სადარაჯოსა ნიშნავს.

აქედან დაწყებული მცირე აზიის ხელმძღვანელებად შორეულ აღმოსავლეთიდან ძველად და ახლად მოსულ თურანელებისა—მწყემსებისა, სემიტებისა და ევროპული ტომებისა აღრევის საფუძველზე, ახლად ჩამოყალიბებული ერი—**„ხეთები“** გვევლინება.

ეს სახელი ამ ხელმძღვანელ ერს მას შემდეგ დასჩემდა, რაც რომ **მურსილმა I**, ტაბარნას შვილმა, **1750 წ. ქ. წელთაღრიცხვამდე**, რეზიდენცია ქ კუსარიდან¹⁾, რომელიც ზემო კაპადოკიაში მდებარეობდა, ძალით შემოერთებულ ხატუსასში გადაიტანა: „**ამ დროიდან გახდა ხეთა და ხეთელები ამ სამეფოს და მისი ხალხის ოფიციალური სახელი**“ ამბობს თანამედროვე მეცნიერება.

იხ. ალ. წერეთელი: „ხეთელები და მათი სამყარო“, გვ. 16.

ცხადია, რეზიდენციის გადატანის შემდეგ მოხდებოდა **მურსილის** მიერ **1750 წ. ბაბილონის** დარბევა,

¹⁾ ამ სახელმა შეინახა თავი, დაბა კუბასი მახლობლად, სოფ. კუსარის სახით, აღმოსავლეთ დაღესტანში...

თორემ ბაბილონის ქრონიკა მათ „ხეთად“ არ მოიხსენიებდა.

როგორც ვიცით სწორედ ამ დარბევას მოჰყვა კოსსეების მიერ ბაბილონის დაპყრობა... 1749 წ. ქ.-მდე.

ცხადია, აქედან დაწყებულმა ხეთების ფედერაციის, ზრდამ მოსახლეობა ძალზე ააჭრელა, მაგრამ იმდენად გააძლიერა, რომ მან, ე. ი. ფედერაციამ, სამხრეთის შორეულ სირიის საზღვარზე, ქ. **კადეშთან**, ეგვიპტელების სამტროდ დიდი ფიცხელი ომი გადიხადა და ამით ისტორიის ფართო სარბიელზე გამოვიდა!

ამ პირობებში სრულიად ბუნებრივია, რომ 1750 წ. არსებული სახელმწიფო ენა, პროტოხეტურად წოდებული, მშვიდობიან პოლიტიკურ თანამშრომლობაში სხვადასხვა რასის ტომებისა, ისე შეიცვალა, რომ მე-XII საუკუნეში ის უკვე ინდო-ევროპიულ ენასა, ყველაზე უფრო ლათინურ ენასა, უახლოვდება.

თუ ეს ასეა, მაშინ მისაღებია ჩვენი დიდი მასწავლებლის ნ. მარრის, ის აზრი, რომ ევროპიული ენები წარმოადგენენ კავკასიური ენების განვითარების შემდეგს საფეხურს.

ამ აზრის პოპულიარულად დასაბუთებას ჩვენ ამგვარად მივუდგებით. არსებობს ინგლისელი მეცნიერის, **ლათამა**-სი აზრი, სათანადოდ დასაბუთებული, რომ ევროპიული ენების წარმოშობა ენად დღევანდელი **ლიტვური** ენა უნდა მივიჩნიოთ¹⁾, ამ უკანასკნელთან კი ჩვენ ქართველებსაც ძირეული ენობრივი ფაქტები გვაკავშირებს:

1) იხ. „Индоевропейцы“, проф. Бреславского унив—та О. Шрадера, стр. 9.

I. ადგილების სახელების დაბოლოებანი:

ლიტვურში: მელეგ-იანი, სვეც-იანი, ვარნ-იანი.
კეიდ-ანი, კურშ-ანი, პოპილ-ანი.

II. განყენებული ცნებანი: ბა-ზე

ქართული—ცხოვრე-ბა

ლიტვური—გივი-ბა, იმავე ცხოვრებასა ნიშნავს.

III. ძირეული სიტყვები:

ქართული „დიდი“=ლიტვური „დიდის“

ქართული „პირველი“=ლიტვური „პირველი-აუს“=

ძვ. სლავური „პრვ“—**първ**=რუსული „первый“ და სხვა.

ქართული „მადლი“=ძვ. прусский „მადლა“=ლიტვური—**მალდა**.

ქართული—**პური**=ლიტვური **პურაი**=ძვ. სლავური **пуро**=ლათინური—**პური** და სხვა...

სად მოხდებოდა ეს? თავისთავად ცხადია მცირე აზიაში!

— როდის? ცხადია უუძველეს დროიდან მე-XII საუკუნემდე, ქრ. წელთაღრიცხვამდე, როდესაც მცირე აზიაში ჩამოყალიბებული ტომები იძულებული იყო ნაწილი კავკასიაში შემოიხიზნულიყო, ნაწილი კი ევროპაში გადასულიყო... ამგვარი გამანადგურებელი შემოტევა ხეთების წინააღმდეგ ძველმა ბინადრებმა **მუსკებმა—მოსხებმა აწარმოვა** (1200—1100) წ. ქრ. წელ მდე და მათ პოლიტიკურ ცენტრს, **ხატუშაშსა დაეპატრონა**.

ცხადია, აქედან იწყება ხეთების ფედერაციის რღვევა და ზოგიერთი ტომების კავკასიისაკენ უკან დახევა, ზოგიერთი ნაწილისა კი ევროპაში და რუსეთის ველებზე გადასვლა და დიდი „ხეთილისა“ შემდეგ, კავკასიის ხევ-

ხუეებში, სკიოების სახელწოდებით, საბოლოოდ შე-
ხიზნვა¹)...

ასე გვესახება ჩვენ, შორეულ წარსულში, უაღრესად
ნარევი რასის წარმოშობა, იმ რასის, რომელსაც თანა-
მედროვე მეცნიერება „მცირე-აზიულ ანუ კავკასიურ
რასად“ იცნობს.

რასაკვირველია, ხეთების შესახებ კიდევ დაიწერება
მრავალი დიდტანიანი წიგნები, მაგრამ, ჩვენის ღრმა
რწმენით, ვერაფერი იმისთანა, რაც ჩვენ ამ საკითხის
საერთო გაგებას შეგვაცლევინებს. ასე, რომ ზოგად ხა-
ზებში, ჩვენ ხეთების საკითხი გადაწყვეტილად მიგვაჩნია.

შენიშვნა.

მეორე დიდი საკითხი, რომელიც ხეთების პრობ-
ლემის გადაწყვეტის პროცესში თავისთავად დაისვა, ეს
არის ხეთური მსოფლიოდან გამოსული, პოლიტიკურად და
ენობრივად უსახო, ჯგუფებისა და ტომებისა ერებად ჩა-
მოყალიბების საკითხი.

ამ საკითხის დასმას, იმ მასალის სრული ამოწურ-
ვით, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია, ჩვენ ჯერჯერო-
ბით ვერ ვკისრულობთ, მაგრამ ნაწილობრივ ცოტა რაი-
მესი თქმა, ჩვენ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია: პირვანდელი,
უუძველესი სახე, ცოტად თუ ბევრად უცვლელად, აფხა-
ზებმა და ავარლებმა შეინარჩუნა, როგორც თავიდანვე

1) ცხადია, ამ ხალხმა მისცა სახელწოდება „კავკასია“ იმ
მთაგრეზბილს, რომელიც მდებარეობს კასპიისა და შავს ზღვათა შო-
რის და ეს იმიტომ, რომ ის თავის უუძველეს სამშობლოშია, დღე-
ვანდელ „ჰინდუკუშსა“, სწორედ კავკასიას უწოდებდა.

აქედან დამკვიდრდა თანამედროვე მეცნიერებაში, ბერძნული
რედაქციით, ორი კავკასია: „კავკასოს ინდიკოს“ და „კავკასოს სკი-
თიკოს“.

გამარჯვებულმა, სხვადასხვა დროს ხელმძღვანელომა ტომებმა, რომელთა დიდი ნაწილი გადაგვარდა სხვადასხვა ტომებში მმართველისა და წესის მიმცემის კლასების სახით.

ლაზ-მეგრელები, ხანგრძლივი აღრევისა საფუძველზე აფხაზ-აგარლებთან, მარაშისა და მილიდასი არიელებთან და სირიის სემიტებთან, ნარევე ხალხს წარმოადგენენ.

ქართველების წარმოშობის წარმოდგენას უნდა დავუერთოთ კიდევ სუმერ-ელამიდან ჩრდილოეთისაკენ დახეული მონათესავე ნარევი ტომების შემოერთებაც დღევანდელ საქართველოს სამხრეთ საზღვრებზე.

რაც შეეხება სომხების ეროვნულ ჩამოყალიბების საკითხს, ცხადია, ეს მოხდებოდა კარხემიშისა, მარაშისა და მილიდასი განადგურებისა შემდეგ, არა უადრეს მე-VIII საუკუნის მიწურულისა ქრ. წელ—მდე; ადგილის საკითხი, ჯერჯერობით, ჩვენთვის ღიად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ ერთი დიდი თვალსაჩინო მითითება გვაქვს დღემდე შემონარჩუნებული: მდინარე ქოროხზე ერთ-ერთი სოფლის სახელი მარაშია. ეს სოფელი დიდი შარა-გზის პირადაა გაშენებული და ბაიბურთსა და ბათომის შუა გზაზე ძეგს.

ცხადია, ამ სოფლის გაშენება მოხდებოდა ძირეული არიული პუნქტის, დიდად განთქმული ქალაქის, მარაშის განადგურების შემდეგ, მიტანელების საზღვარზე მდებარისა, რაც ქრ. წელთაღრიცხვამდე 713 წ. მოხდა. ამ ხალხში ენობრივ არიული ელემენტები სკარბობს, თუნდაც რასიულად უაღრესად მცირე აზიული და სემიტური ელემენტებია მათში მოცემული. საინტერესოა, რომ პირველი გაგებით, თითქოს ქართველებს სომხები ძველად ფალურ ემბაზში მოუწათლავეთ და სახელად

„სომეხი“ დაურქმევიათ, რაც ქართულსა წარმართულ ფალურ ენაზე გასამკეცებულსა ფალსა ნიშნავს: სო=მე=ხი=ფალია... გასამკეცებული.

ეს თვალსაჩინოდ მოცემულია იმ ფალურ ელემენტებში, რომელიც სიჭარბით დაცულია ქალურსა და ვაჟურ წარმართულ სახელებში ქართულ ენაზე...

ამგვარივეა მდგომარეობა ოსების სახელწოდების შესახებ—ოსი შემდეგი ფალური ხაზით იშლება ქართულ ენაზე:

„ო“—მითითებითი ნაცვალსახელია,

„სი“—კი ფალია! შეადარე ქართულ წარმართულ ვაჟურის სახელის პირველ მარცვალსა: სი—სო, რაც ფალის გაორკეცება!

რას ნიშნავს ეს?


ცხადია, ეს ნიშნავს იმას, რომ ძველად, ქრისტიანობის მიღებამდე, სომეხები გასამკეცებულ ფალსა სცემდნენ თაყვანსა, ოსები კი ერთობილსა, რაც ქართველებმა თავის ფალურ ენაზე შესაფერისად აღნიშნეს და დღემდე ამ სათაკილო სახელწოდებით იცნობდნენ მათ ისე, როგორც თვით ქართველებს არჩება—დადესტნელები, რომელთა ენაზე „კართა, კართალინ“ ფალსა ნიშნავს!

1931 წ. 14/IX, ავლაბარი.

ქ. ტფილისი.

აგხ. - მკითხველო!

გთხოვთ თქვენი აზრი ამ წიგნის შესახებ გამოგზავნოთ შემდეგი მისამართით: ქ. ტფილისი, კახეთის მოედანი, ლ. მესხიშვილის ქუჩის კუთხე, № 1. ი. ჯიშკარიანი.



მარაგ

საქართველოს
სსრ-ის ადმინისტრაციული
რაიონების რუკა

მოდის
(გზაზე)

სსრ-ის ადმინისტრაციული რაიონების რუკა

საქართველოს სსრ-ის
ადმინისტრაციული რაიონების რუკა

საქართველოს სსრ-ის
ადმინისტრაციული რაიონების რუკა

